# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 31 მარტი 2007 №71 (2994) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოდით, ვიაროთ სამსახურში!




# რა უნდა თქვენს ქვეყანას თქვენგან და, საქმე!

## მკვლელობამ სპორტი მოკლა

საბერძნეთის მთავრობამ ყველა სპორტული შეჯიბრი გადადო, სულ ცოტა, 13 აპრილამდე. მათ შორის, ქვეყნის ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში.

მიზეზი კი იმ კაცის მკვლელობაა, რომელიც ათენის „პანათინაიკოსისა" და პირეოსის „ოლიმპიაკოსის" ფრენბურთელ ქალთა მატჩის წინ მომხდარ შეტაკებაში დაიღუპა.

დაახლოებით ოცწუთიან ჩხუბში შვიდი კაცი დაშავდა, ერთი გარდაიცვალა, ერთი კი უმძიმეს მდგომარეობაშია...

პოლიციამ თერამეტი მოჩხუბარი დააკავა, საბერძნეთის მთავრობის საგანგებო სხდომაზე კი ყოველგვარი სპორტული ღონისძიების შეჩერება გადაწყდა...

1 აპრილიდან კომპანია „ქართული ჩოგბურთი" აცხადებს ბავშვთა მიღებას 6 წლის ასაკიდან. იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში თქვენ სპორტის ამ სახეობის ანბანთან გაცნობაში პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაგეხმარებიან.
ადგილები შეზღუდულია.
ჯგუფების დაკომპლექტება 31 მარტამდე.
მისამართი: ლუბლიანას 18;
ტელ: 54 00 77; 54 00 39



# ქართველური მიმოხილვა

— რას ფიქრობთ ... -ის ახალგაზრდულ ფეხბურთზე?

— საშინელი მდგომარეობაა. ამ ქვეყანაში ყმაწვილთა განვითარების პროგრამა უბრალოდ არ არსებობს. არ არის 16, 18 და 20-წლიანთა ჩემპიონატები, რაც დაუჯერებელია. ეს მდგომარეობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა შევცვალოთ, რამეთუ უკვე ისედაც ძალიან გვიან არის. ჩვენ რაიმე უნდა ვიღონოთ 20-წლამდელთათვის მაინც. ფეხბურთელები, რომლებიც ახლა 19 წლისანი არიან, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატისთვის 22-23 წლისანი და ნაკრების უმთავრესი კანდიდატები იქნებიან. 12-წლიანთა ლიგის ჩამოყალიბება 2010 წლის მუნდიალზე გამოსვლაში ვერაფრით დაგვეხმარება, მაგრამ აქაურობის განვითარებისთვის ექნება უდიდესი მნიშვნელობა. და კიდევ, ძალიან მნიშვნელოვანია რეზერვისტთა ჩემპიონატის შემოღება, რათა ის ფეხბურთელები, რომლებიც თავიანთი კლუბების პირველ გუნდებში ვერ ჯდებიან, პრაქტიკის გარეშე არ დარჩნენ. რაც ახლა ჩამოვთვალე, საძირკველია, რომელიც უნდა ჩავყაროთ და 20-წლამდელთა ჩემპიონატით დავიწყოთ.

— რამდენ ხანს გაატარებთ ... -ში?

— დროის უმეტეს ნაწილს სწორედ ამ ქვეყანაში გავატარებ. იქიდან წამოვალ მხოლოდ ივლისში, როდესაც იქაურებს ჩემპიონატში დასვენება აქვთ. ივლისში სახლში ვიქნები.

**fifa.com. 2006 წლის 2 ოქტომბერი.**

— ასაკობრივი ნაკრებებიდან ფეხბურთელები ევროპულ კლუბებში უნდა მოხვდნენ და იქ გამოიწრთონ ეროვნული ნაკრებისთვის — თქვენს სანაკრებო პოლიტიკაში ... -ის ეროვნული ჩემპიონატის ადგილი არ არის?

— ... -ის ჩემპიონატში არ არის ხარისხი, იქ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების თამაში რომ შეიძლებოდეს. ზოგადად, ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთელი ნაბიჯ-ნაბიჯ შესაძლოა, მეოთხე ლიგიდანაც კი მოხვდეს. ... -ს ჩემპიონატში კი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელისთვის განვითარების შანსს ვერ ვხედავ.

**„სარბიელი". 2007 წლის 30 მარტი.**

რაღა დაგვრჩა, ძვირფასო მკითხველო, სამ-სამი წერტილის ნაცვლად ქვეყნების დასახელების ჩასმა და რესპონდენტების დასახელება თუ ერთხელაც გაანალიზება იმისა, რა განსხვავებაა პირველ და მეორე მოღვაწეს შორის? ვფიქრობთ, აქ ანალიზი ზედმეტია. მეტიც, იქნებ, რომელიმე მკითხველმა ნათქვამის ზედმეტი დაღეჭვა შეურაცხყოფადაც კი მიიღოს. ვფიქრობთ, ძალიან აშკარაა განსხვავება უცხოეთში სამუშაოდ წასულ ორ კაცს შორის, რომელთაგან პირველი ივნისამდე შინ დაბრუნებას არ აპირებს და სანაკრებო ფეხბურთელების აღსაზრდელად ასაკობრივი ლიგების მოწყობას თაოსნობს, მეორე კი ამბობს, რომ ადგილობრივი ჩემპიონატი არ ვარგა და ამიტომ იქაური ფეხბურთელები ევროპაში უნდა გაიყიდონ.

ამაზე თავადი ლევან ფანტიაშვილი იტყოდა: იყიდე-გაყიდე, რა, ქარვასლაა?!

მაგრამ, ჩვენ თავად ფანტიაშვილს დაახლოებით ასი წელიწადი და სოციალური წარმოშობა გვაშორებს, ასე რომ, ერთადერთი, რაც (ჯერჯერობით) შეგვიძლია, სხვადასხვა ციტატების გვერდიგვერდ მოტანაა, რასაც ვაკეთებთ კიდეც.

ხოლო წერტილების ნაცვლად პირველ ციტატაში სამხრეთი აფრიკა უნდა ჩასვათ, მეორეში საქართველო, რესპონდენტი კი ზემოთ მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი კარლოს ალბერტო პარეირაა, ხოლო ქვემოთ 2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი კლაუს ტოპმიოლერი.

და ბოლოს, ძალიან არ გვინდა, ვინმე დემაგოგმა ეს რეპლიკა ნაკრების სათავეში არაკვალიფიცირებული ქართველი მწვრთნელების დაბრუნებისკენ მოწოდებად ჩამოგვართვას.

**ბაჩუნა ქედია**

ქართველური მიმოხილვა

# დიმიტრი რამიშვილი: არ ვეთანხმები, თუმც არ მიკვირს



ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

**მაშინ, როცა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციისთვის, სტადიონებზე ქომაგების მისაზიდად, ზოგადად ქართული ფეხბურთის დონის ასამაღლებლად ნაირ-ნაირ და ახალ-ახალ პროექტებზე ფიქრობს, ბევრი სასიკეთო უკვე გაუკეთებია და ბევრსაც სამომავლოდ გეგმავს, დაგვეთანხმებით, გასაკვირზე ცოტა უფრო მეტიც არის ეროვნული გუნდის მწვრთნელი რომ ამბობს: „საქართველოს ჩემპიონატში ეროვნული ნაკრებისთვის ფეხბურთელის განვითარების შანსს ვერ ვხედავ", ან კიდევ: „როცა ასაკობრივი ნაკრებებიდან ფეხბურთელებს ვუშვებთ და მერე ისევ მოდიან ჩვენთან, აღმოჩნდება, რომ, რაც ვასწავლეთ, დავიწყებული აქვთ. ამიტომაც მივიწევთ ნინ ნელა".**

**კლაუს ტოპმიოლერმა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე დასწრება დროის ფუჭი კარგვააო, ადრეც თქვა და ახლაც დაახლოებით იგივე გაიმეორა. ისე გამოდის, რომ ტოპმიოლერი რეკლამის ნაცვლად ეროვნულ ჩემპიონატს ანტირეკლამას უკეთებს. ეროვნული გუნდის მწვრთნელი ასეთ განცხადებას რომ აკეთებს, ცხადია, აზრი მასაც უნდა ჰკითხო, ვისაც ეროვნული ჩემპიონატისა მოეკითხება. ჰოდა, ჩვენც პროფლიგის პრეზიდენტს დიმიტრი რამიშვილს მივაკითხეთ და ტოპმიოლერის ნააზრევზე დავეკითხეთ...**

— როგორც პროფლიგის პრეზიდენტსა და ერთ-ერთ რიგით ქომაგს, რა თქმა უნდა, გული მწყდება, როცა ნაკრების მწვრთნელისგან ასეთი აზრი მესმის. პროფლიგა ზრუნავს ეროვნული ჩემპიონატის განვითარებისთვის, ვხარჯავთ ენერგიასა და ფინანსებს, ვცდილობთ, ჩვენს ჩემპიონატს პოპულარიზაცია გავუწიოთ და იმიჯი შევმატოთ. ამგვარი სიტყვები ტოპმიოლერისგან და სხვათაგანაც გულზე მხვდება და გარკვეული თვალსაზრისით ერთგულ-ურობის პრინციპებსაც ეწინააღმდეგება. თუმცა მეორეცაა, ახლა სიტყვის თავისუფლებაა, ყველას აქვს თავის აზრის გამოთქმის უფლება. ტოპმიოლერი კი გამოცდილი მწვრთნელია, მასაც აკრიტიკებენ და ისიც გარკვეული დოზით კრიტიკულია, კრიტიკა კი განვითარების ხელშემწყობია.

— ცხადია, ტოპმიოლერის აზრს არ ეთანხმებით...

— მე არ ვეთანხმები ტოპმიოლერის აზრს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მისი აზრი სწორი ან არასწორია. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველას აზრი გასათვალისწინებელია. ისე კი, გეტყვით, რომ უკვე 2 აპრილიდან ჩვენს ტელევიზიებში ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციის ხელშემწყობი ახალი კლიპი იტრიალებს. ვფიქრობ, ეს კიდევ ერთი საინტერესო პროექტია, რომელიც პროფლიგამ კომპანია „ყაზბეგთან" ერთად განახორციელა.

— კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნული ჩემპიონატის ღირსების შემლახავი განცხადება პირველად არ გააკეთა. არ გიფიქრიათ მასთან შეხვედრა და ამ საკითხებზე საუბარი?

— როგორ არა. მაშინ, როცა ტოპმიოლერმა ამგვარი პირველად თქვა, მეორე დღესვე მას საგანგებოდ შევხვდით. ჩემი აზრით, მას მეტი კონტაქტი უნდა ჰქონდეს ეროვნული ჩემპიონატის გუნდებთან, მათ მწვრთნელებთან, ხელმძღვანელებთან... ვფიქრობ, ასე ის მეტ ინფორმაციას მიიღებს. თუ გახსოვთ, ადრე ეროვნული გუნდის მწვრთნელი ჩვენი გუნდების მწვრთნელებსა და ხელმძღვანელებს შეხვდა და გაჩნდა მეორე ნაკრების გაკეთების იდეაც, რომელშიც ეროვნულის კანდიდატებს უნდა ეთამაშათ და ეს, თავისთავად, ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებისთვის მეტი სტიმული იქნებოდა. ადრე ჩვენი ჩანაფიქრი მართლაც შესრულდა და, მგონი, ეს წამოწყება ახლაც მისაღები უნდა იყოს. ეროვნული გუნდის მწვრთნელი ჩემპიონატში მიმდინარე ყველა პროცესში უნდა იყოს ჩამბული, ამგვარი გამონათქვამები კი, ვფიქრობ, საერთო საქმეს არ წაადგება. ვერ გეტყვით, ამჯერად ეს რატომ თქვა ტოპმიოლერმა. ჩვენ მას დიდ პატივს ვცემთ, ის შეგნებული და გონიერი პიროვნებაა და ამ საკითხებზე მასთან საუბარი პრობლემა არც ამჯერად იქნება.

— ეროვნული ჩემპიონატის იგნორირებით წარმოგიდგენიათ ეროვნული გუნდის წარმატება?

— კარგი იქნება, თუ ნაკრებთა მწვრთნელებისგან ჩვენს ჩემპიონატს ყურადღება არ მოაკლდება. სხვათა შორის, ნაკრებში ბოლო მატჩისთვისაც იყვნენ ეროვნული ჩემპიონატიდან გამოძახებული ფეხბურთელები — შაშიაშვილი, გრიგალაშვილი, კობახიძე და, ვფიქრობ, კიდევ ბევრია საქართველოს ჩემპიონატში კარგი ფეხბურთელი. ისინიც, ვინც ახლა არიან ნაკრებში, ჩვენი ჩემპიონატიდან არიან წასულები, ზოგი ადრე წავიდა, ზოგიც — ახლახან. რაც შეეხება ნაკრების წარმატებას... ჩვენ არც ადრე და არც ახლა გვაქვს ილუზია, რომ ეროვნული გუნდი კლაუს ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით რაიმე სასწაულს გააკეთებს, რასაც წარმატება ჰქვია, იმას დრო სჭირდება. ჩვენ ეროვნულის მწვრთნელებთან შეთანხმებულები ვართ და ახლა პასუხისმგებლობა მათზეა. მათ უკეთ იციან, სად, როგორ და რა დოზით უნდა ჩაერივნონ და გვჯერა, რომ სასურველ შედეგამდე მიგვიყვანენ. კლაუს ტოპმიოლერმა თავად იცის თავის საქმე.

— ისე, მოსალოდნელი ხომ არ არის, ტოპმიოლერის ამგვარ მოუზომელ სიტყვებს ფედერაციისგან რაიმე საჯარიმო სანქცია მოჰყვეს?

— ეროვნული ჩემპიონატის სადისციპლინო კოდექსში ცვლილებები ახლახან შევიტანეთ და არაკორექტული განცხადებების ავტორები საკადრისად დაისჯებიან. ტოპმიოლერის ეს სიტყვები კი სხვა შემთხვევაა, ტოპმიოლერმა თავისი აზრი გამოთქვა, ხოლო აზრის გამოთქმისთვის კაცი ვერ დაისჯება. კლაუს ტოპმიოლერი ეროვნული გუნდის მწვრთნელია და მისმა სიტყვებმა ამიტომ მიიქცია ყურადღება, თორემ სხვას რომ ამგვარი ეთქვა, ასეთი განსჯის საგანი ეს არ იქნებოდა.

**ქობა ინასარიძე**

## ინგლისი

ჩემპიონატი. XL ტური
ლიდსი 2:1 პრესტონი

I ლიგა. XL ტური
ტრანმერი 0:2 კარლაილი

I ლიგა. XL ტური
ჰარტლპალი 3:0 ჩესტერი

## გერმანია

ბუნდესლიგა. XXVII ტური
არმინია 1:0 დორტმუნდი

II ბუნდესლიგა. XXVII ტური
ბურგჰაუზენი 4:1 უნტერჰახინგი
კარლ ცაისი 1:2 ჰანზა
პადერბორნი 1:2 კარლსრუე

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
დორტმუნდი (მ) 2:3 დინამო

## ბელგია

იუპილერლიგა. XXVII ტური
ბრიუსელი 1:1 გენტი

## ჰოლანდია

I დივიზიონი. XXX ტური
როდა 0:1 გრონინგენი

II დივიზიონი. XXXIV ტური
აპელდორნი 0:1 ვოლენდამი
კამბური 2:1 ვენლო
გრააფსხაპი 2:1 ემენი
დენ ბოსხი 3:1 ჰელმონდი
დორდრეხტი 1:3 სიტარდი
ეინდჰოვენი 1:1 ოსი
ალმერე 0:1 იგლსი
ჰაარლემი 1:0 მაასტრიხტი
როზენდალი 3:0 ზვოლე
ვეენდამი 2:1 ტელსტარი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XXII ტური
დებრეცენი 2:0 ტატაბანია

## პოლონეთი

I ლიგა. XIX ტური
კრაკოვია 3:0 ლეხი

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXX ტური
ბასტია 2:0 ტურსი
ბრესტი 0:0 შატორუ
დიჟონი 1:2 ამიენი
გენიონი 0:0 გრენობლი
ისტრი 1:4 აიაჩო
ლიბურნი 0:2 კრეტეი
მეცი 1:0 გენგამი
მონპელიე 2:1 ნიორი
კაენი 2:2 სტრასბური

## ბულგარეთი

ვიშა ლიგა
XX ტური
ჩერნომორეცი 1:2 ბელასიცა

## ავსტრია

I დივიზიონი. XXIII ტური
ადმირა 1:1 პარნდორფი
ლუსტენაუ 2:0 გრატკორნი
ჰარტბერგი 2:1 ავსტრია (ლ)
კაპფენბერგი 1:0 ავსტრია (მ)
კერნტენი 1:1 ლეობენი
შვანენშტადტი 1:5 ლინცერი

## იტალია

სერია B. XXXI ტური
ვიჩენცა 1:0 სპეცია
ჯენოა 1:0 ალბინოლეფე

## სლოვაკეთი

პირველი ლიგა
პლეი აუტი
IV ტური
ტრენჩინი 0:0 დუბნიცა

## რუმინეთი

პირველი ლიგა
XXIV ტური
ჩაჰლაული 1:1 ნაციონალი

## ირლანდია

პრემიერლიგა. IV ტური
კორკი 2:0 ლონგფორდი
სენტ პატრიკსი 3:1 ბრეი
უოტერფორდი 0:1 ბოჰემიანსი
დროჰედა 2:1 დერი
შემროკი 1:0 გალვეი

„საქართველოს ჩემპიონატში არ არის ის ხარისხი, იქ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების თამაში რომ შეიძლებოდეს. აქ მოთამაშის განვითარების შანსს ვერ ვხედავ" — ეს კლაუს ტოპმიოლერის სიტყვებია და ნამდვილად დამაფიქრებელ და განსასჯელ თემასთან გვაქვს საქმე. გამოდის, ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთელმა სულაც მინდორი რომ გადახნას, ნაკრებში მაინც ვერ მოხვდება. ისმის კითხვა — აბა, რისთვისღა ტარდება ჩემპიონატი? ამ საკითხზე აზრის გამოთქმა კლუბების მესვეურებს და სპორტულ ჟურნალისტებს ვთხოვეთ...



# რატომ?

გურამ რუხაძე, „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი: ამ თემაზე მოკლედ გიპასუხებთ: კლაუს ტოპმიოლერს ეს არგუმენტი იმისთვის სჭირდება, რომ გაამართლოს მისი არყოფნა საქართველოში, ამით ნიღბავს მუდმივად გერმანიაში ყოფნას და აცხადებს, რომ რა უნდა აკეთოს იმ ქვეყანაში, სადაც დონე არ არის. თუ ხშირად დაესწრება ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს, აღმოაჩენს, რომ აქ თამაშობს მინიმუმ სამი-ოთხი ფეხბურთელი, რომელიც ასეთ ნაკრებში ითამაშებს, მაგრამ მას ეს ხელს არ აძლევს და ამიტომ აკეთებს ასეთ აბსურდულ განცხადებებს.

ზურაბ ფოცხვერია, „ამერის" პრეზიდენტი: ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ჩემპიონატს აუგად მოიხსენიებს. რა დონის ჩემპიონატიც უნდა გვქონდეს, ასეთი გამონათქვამები, მეტი არ ვთქვათ არაკორექტულია. მეტიც, ამის სისტემატურად გამეორება შეურაცხმყოფელიც კი ხდება, დაწყებული ფეხბურთზე მწერალი ჟურნალისტებით, დამთავრებული მაყურებლით, რომელიც მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც დადის სტადიონზე. აღარაფერს ვამბობ ფეხბურთელებზე, მწვრთნელებსა და კლუბის ხელმძღვანელებზე. გარდა ამისა, ქართულ ფეხბურთში გვაქვს სლოგანი — „ჩვენ ერთი გუნდი ვართ" — ტოპმიოლერი მასაც ლაფს ასხამს. ხალხი მუშაობს, რათა მეტი მაყურებელი მიიზიდოს სტადიონზე, ის კი გამოდის და ამბობს, ნუ მიდიხარ, აზრი არ აქვსო. ეს ქართულ ფეხბურთს სარგებელს ვერ მოუტანს.

მალხაზ აბრამიშვილი, „სიონის" გენერალური დირექტორი: ასეთი განცხადების გაკეთება არ შეიძლება. მაშინ საერთოდ რად გვინდა საქართველოს ჩემპიონატის?! ამხელა საფეხბურთო ტრადიციების ქვეყნის ჩემპიონატში სანაკრებო ფეხბურთელი თუ არ მოიძებნა, კატასტროფამდე მივალთ. თუ ტოპმიოლერმა ჩვენს ჩემპიონატში სანაკრებოდ ერთი ფეხბურთელიც ვერ მოძებნა, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. მაშინ გავუშვათ პატარა ბავშვები პირდაპირ უცხოეთში და აღარ ჩავატაროთ ჩვენი ჩემპიონატი. ასეთი განცხადების შემდეგ ამას აზრი მაინც აღარ აქვს.

რევაზ ძოძუაშვილი, „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი: ამ განცხადების აბსურდულობა შევვიძლია კლაუს ტოპმიოლერს საქმით დავანახოთ. შევადგენთ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელების ნაკრებს, ვეთამაშებით პირველ ნაკრებს და დავუმტკიცებთ, თუ რა დონეზე გვყავს მომზადებული ფეხბურთელები. მიწასთან გასასწორებელი ჩემპიონატი ნამდვილად არ გვაქვს, ჩვენთანაც არის რაღაც გარკვეული დონე. ნაკრების შესაქმნელად მარტო ლიტერატურის ცოდნა კი არა, საქმეც საჭიროა. სხვათა შორის, როდესაც ურუგვაისთან და თურქეთთან თამაშებისთვის ემზადებოდა, მაშინ უნდა მოსვლოდა აზრად, რომ ეროვნული ჩემპიონატის ნაკრებთან ეთამაშა. დაინახავდა იმ პოტენციალს, რაც არის საქართველოში, როგორ ვმუშაობთ მწვრთნელები, რა შევსება შეიძლება მიიღოს აქედან ნაკრებმა და რა ხარისხი და დონეა ჩემპიონატში.

პაატა ბურჭულაძე, პროფლიგის პრეს-ატაშე: თავისუფალ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ყველას აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება, მათ შორის ცხადია, ტოპმიოლერსაც. თუმცა იმ დროს, როცა პროფლიგა, ფეხბურთის ფედერაცია, ჟურნალისტები, კლუბების ხელმძღვანელები და ფეხბურთელები ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციისთვის შრომობენ, ტოპმიოლერის განცხადება ხელს შეუშლის წინსვლას. მინდა მჯეროდეს, რომ ჰერ კლაუსმა ეს სიტყვები ცხელ გულზე თქვა.

სოსო კოტორეიშვილი, გაზეთი „24 საათი": ტოპმიოლერს ვეთანხმები, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთელი ვერ განვითარდება და რაღაც დონეს რომ მიაღწევს, უნდა წავიდეს უცხოეთში. თუმცა ჩემპიონატში არიან ისეთი მოთამაშეებიც, რომლებიც უკვე გაიზარდნენ და ნაკრებში გამოცდას იმსახურებენ. მე, მაგალითად, ფარერებთან მატჩში აუცილებლად გამოვიძახებდი სანდრო იაშვილს, დავით დიღმელაშვილს, პაატა დათუნაიშვილს, რატი წინამძღვრიშვილს.

დავით ერაძე, ტელეკომპანია „რუსთავი 2": ძალიან სამწუხაროა, როცა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ასეთ პოზიციაზეა. დიდ პატივს ვცემ კლაუს ტოპმიოლერს თუნდაც იმიტომ, რომ გერმანული ფეხბურთის დიდი ქომაგი ვარ, მაგრამ ის ბოლომდე უნდა ემსახურებოდეს იმ ქვეყანას, სადაც მუშაობს. მით უმეტეს, რომ საქართველოს კვალობაზე სოლიდურ ხელფასს იღებს. თქვენ რამდენიც გინდათ ითამაშეთ, ნაკრებში მაინც ვერ მოხვდებით — ასეთი მიდგომით ფეხბურთელს იმედს უკლავ და ჩემპიონატსაც კლავ.

ალეკო კაკაურიძე, გაზეთი „ოლიმპი": კლაუს ტოპმიოლერის მთავარ მინუსად სელექციისადმი ზერელე დამოკიდებულებას ვთვლი. არ შეიძლება, საქართველოსთანა საფეხბურთო რესურსის მქონე ქვეყანაში ორი-სამი ფეხბურთელი მაინც ვერ მოძებნო, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში გამოგადგება. ეს ფეხბურთელები ამ მომენტში ვერ იქნებიან შოთა არველაძისა და მალხაზ ასათიანის დონეზე, მაგრამ სწორი მუშაობით ნაკრებისთვის საჭირო მოთამაშეებად გადაიქცევიან. ტოპმიოლერი რომ სელექციასთან მწყრალადაა, იქიდანაც ეტყობა, რომ ფარერებთან არა მცველები, არამედ ნახევარმცველები, სანდრო კობახიძე და შოთა გრიგალაშვილი დაამატა ნაკრებს. ამ დროს კი ნაკრები მხოლოდ სამი მცველით ჰყო დარჩენილი.

– გამოვიდეს ტოპმიოლერი და თქვას, ეროვნული ჩემპიონატის რამდენ თამაშზეა ნამყოფი. პეტარ სეგრტი და რალფ მინგე იმიტომ დადიან თამაშებზე, რომ ფეხბურთელები გაყიდონ უცხოეთში. ჰერ კლაუსმა რომ იაროს მატჩებზე, საინტერესო ფეხბურთელებს იპოვის. იოჰან ბოსკამპმა რამდენი კაცი წამოსწია ნაკრებში — მარტო ზურაბ ხიზანიშვილის და ოთარ ხიზანეიშვილის დასახელება კმარა.

მერაბ მამულაშვილი, გაზეთი „ლელო": მაკვირვებს ის ზერელე დამოკიდებულება, რაც ტოპმიოლერს ეროვნული ჩემპიონატის მიმართ აქვს. თუკი შოთა გრიგალაშვილსა და სანდრო კობახიძეს იძახებს, ესე იგი, სხვა საინტერესო ფეხბურთელებიც არიან. ჰერ კლაუსი მუდმივად ცვლის მარჯვენაფლანგელებს და ნუთუ არ შეიძლებოდა გრიგოლ დოლიძის გამოცდა? ან საყრდენ ნახევარმცველად დავით დიღმელაშვილის, მცველებად კი ედიკ საჯაიასა და შალვა ლონდაძის ნახვა? ამ სიას გოგი ფიფია, გიორგი ფეიქრიშვილი, მიხეილ მახვილაძე, დავით ოდიკაძე და სხვებიც შეიძლება მიემატოს.

ლევან სალუქვაძე, ტელეკომპანია „იმედი": ტოპმიოლერის პოზიციას არანაირად არ ვეთანხმები. მე არ ვამბობ, რომ ჰერ კლაუსი დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტია, მაგრამ ეროვნული ჩემპიონატის იგნორირება ნაკრებს არ წაადგება. თავის დროზე კვირკველია, ბურდული, სირაძე თუ შაშიაშვილი ამ ჩემპიონატიდან ხვდებოდნენ ეროვნულ გუნდში — ვგულისხმობ ახლო წარსულს, თორემ ადრე ქინქლაძე, არველაძეები და სხვები სწორედ აქედან იყვნენ ნაკრებში. არ მესმის, როგორ შეიძლება ნაკრების მწვრთნელმა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე არ იაროს. იგივე სანდრო იაშვილის, შოთა კაშიასა და დავით დიღმელაშვილის გამოძახება საქმეს არ წაახდენდა, გასინჯავს მაინც რა უდგას წინ...

ლაშა დვალიშვილი, „საზოგადოებრივი მაუწყებელი": ამ საკითხზე სხვა აზრი არც შეიძლება გვქონდეს: ნაკრების მთავარი მწვრთნელი ეროვნული ჩემპიონატის თამაშებს უნდა ესწრებოდეს. მარტო ლეგიონერებს გამოვიძახებ — ასეთი მიდგომა ყოვლად გაუგებარია. მით უმეტეს, ეროვნულ გუნდში რამდენიმე ისეთი ფეხბურთელია, იქ თამაშს რომ არ იმსახურებენ. ამ შესარჩევი ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე გასვლის იმედი არ უნდა გვქონოდა, ამიტომაც სანაკრებო პოლიტიკა გარკვეულწილად ახალი ფეხბურთელების აღმოჩენისკენ, მათი ნაკრებთან შეჩვევისკენ უნდა წარმართულიყო. ესაც არ იყოს, როდესაც ფეხბურთელი ხედავს, რომ შენს თამაშს ნაკრების თავკაცი ესწრება, სულ სხვა მონდომებით ითამაშებს, ამით ამ ფეხბურთელის ოსტატობაც ამაღლდება და ჩემპიონატის დონეც.

**ილია ნანოგაშვილი**
**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ნოდარ ახალკაცი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: ტოპმიოლერმა თავად თქვა, რომ საქმე გაუგებრობასთან გვაქვს. „სარბიელის" და ტოპმიოლერის ინტერვიუს თემა ზოგადად ის ყოფილა, რა უშლის ხელს საქართველოს ნაკრებს რეგულარულად ითამაშოს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე. მისი აზრით, ამის მიზეზი კალაძის, არველაძისა და კობიაშვილის დონის ფეხბურთელთა უკმარისობაა. როცა საქართველოს დარ პატარა ქვეყანას თერთმეტიდან რვა უმაღლესი კლასის ფეხბურთელი აკლია, ასეთი დანაკლისის კომპენსაცია უძნელესი საქმეა.

ბოლო სანაკრებო მატჩებამდე, როცა „დინამო" — „ამერისა" და „ოლიმპი" — „ზესტაფონის" მატჩებს დაესწრო, ტოპმიოლერმა თქვა, რომ ეროვნული ჩემპიონატის ლიდერების დონე საგრძნობლად ამაღლდა და იგი გაკვირვებულიც დარჩა.

ეროვნულ ჩემპიონატში სანაკრებოდ გამოსადეგ ფეხბურთელთა შანსებს რაც შეეხება, ტოპმიოლერს მხედველობაში ჰქონდა, რომ ჩვენს ჩემპიონატში დღეს კალაძის, კობიაშვილისა და არველაძის დონის ფეხბურთელები არ არიან და ეს ახალი არავისთვისაა. თორემ, ისედაც ყველამ იცის, რომ ამ და ნაკრების სხვა ფეხბურთელებმაც კარიერა ჩვენთან დაიწყეს. ტოპმიოლერი, როცა საჭიროა, ასაკობრივი ნაკრებებიდან ყოველთვის უხმობს ხოლმე საქართველოში მოთამაშეთ, მაგალითად, ფარერებთან კობახიძე და გრიგალაშვილი გამოიძახა. ასე ადრეც რამდენჯერმე ყოფილა.

ტოპმიოლერს სურს, რომ საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელმა ევროპული კარიერა რუსეთისა და უკრაინის ტრანზიტით კი არა, პირდაპირ სოლიდურ ევროპულ გუნდში განაგრძოს. საამისოდ საჭიროა, ფეხბურთელმა ჯერ საქართველოში დაამტკიცოს ის, რომ დანარჩენებზე ორი თავით მაღლაა, ყველა დაარწმუნოს იმაში, რომ უცხოეთში ზრდის მეტი შანსი ექნება და აქ შესაძლებლობები ბოლომდე ამოწურა.

ბრაზილიისა და არგენტინის ჩემპიონატები ინგლისის, იტალიის, გერმანიის, ესპანეთის და საფრანგეთის შემდეგ ყველაზე საინტერესოდ ითვლება, მაგრამ ამ სამხრეთამერიკულ ქვეყნებშიც კი ყველა ფეხბურთელი, ვინც გარკვეულ დონეს მიაღწევს, ცდილობს, მეტად განვითარდეს და ამისთვის გზას ევროპისკენ ეძებს. ამ პროცესს ვერავინ შეაჩერებს. ტოპმიოლერი ამბობს, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე რეგულარულად მონაწილეობისთვის 7-8 მაღალი დონის ფეხბურთელი საკმარისი არ არის, 18 ფეხბურთელიდან 18-ივე მეტნაკლებად ერთი დონის უნდა იყოს. საქართველოს ჩემპიონატში მართლაც ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ მათ სათამაშო პრაქტიკა, საერთაშორისო მატჩებში გამოცდილება სჭირდებათ. ისინი ჯერ აქ უნდა დაღვინდნენ, რათა მერე უცხოურ კლუბებში სათადარიგოთა შორის არ მოხვდნენ.

მოკლედ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კლაუს ტოპმიოლერს ერთნაირი მოსაზრებები აქვთ — გვითხრა ნოდარ ახალკაცმა.

**კობა ინასარიძე**

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 18 ტური




დუშან უჰრინი VS კახა ცხადაძე

# ვაკეში ყავის სმა კი არა, ძვალთა მტვრევა იქნება

**ერთკვირიანი** სანკრებო პერიპეტიები დასრულდა და დასრულდა პაუზაც ეროვნულ ჩემპიონატში. მე-18 ტურში მთავარი ამბავი ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უნდა მოხდეს — თბილისის „დინამო“ ჩემპიონ „სიონს“ დაუხვდება.

პირველ წრეში „სიონი“ შინ 0:1 დამარცხდა „დინამოსთან“. მაშინ დინამოელებს კახა კაჭარავა წვრთნიდა. ახლანდელი „დინამო“ კი ფეხბურთელებითაც უფრო სოლიდურია და მთავარი მწვრთნელიც სახელიანი და გამოცდილი ჰყავს, თუმც „სიონიც“ გაძლიერდა მეორე წრისთვის. ბოლნისელთა მწვრთნელი კახა ცხადაძეა, ვინც მანამდე „დინამოს“ თავკაცობდა და ყოველივე ეს დღევანდელ თამაშს ინტრიგით ამდიდრებს.

„სიონს“ მოაკლდებიან ტრავმიანი ლევან სილაგაძე და შოთა ბაბუნაშვილი, რომელიც „სიონმა“ „დინამოსგან“ ინათხოვრა და ამავე გუნდის წინააღმდეგ ვერ ათამაშებს. დუშან უჰრინის „დინამოს“ კი ყველანი ჯანზე ჰყავს.

„სიონი“ თასის ნახევარფინალისტია და წლეულს სხვა ტიტულისთვის ვერ იბრძოლებს. „დინამოც“ ერთ ფრონტზე აგრძელებს თამაშს, მაგრამ ჩემპიონობაზე გახელებულ დინამოელებს „სიონი“ ალბათ დიდ წინააღმდეგობას გაუწევს — ბოლოს და ბოლოს, ეს თამაში უაღრესად პრინციპული უნდა იყოს კახა ცხადაძისთვის, რომელსაც „დინამოდან“ შარშან მოუწია წამოსვლამ.

მეორე წრეში „სიონმა“ ორი თამაში მოიგო და ამდენივე წააგო. წინა ტურში კი შინ „ბათუმთან“ დამარცხდა 1:2 და ბრაზმორეული ესტუმრება „დინამოს“. უჰრინის გუნდმა კი მეორე წრეში ყველა მატჩი მოიგო და ამიტომაც აღზევდა მეხუთედან მეორე ადგილზე.

ვფიქრობთ, ბოლნისელთა თამაში დიდად იქნება დამოკიდებული პლეიმეიკერ ვიტალი დარასელიაზე — თუ მას თამაში წაუვიდა, „დინამოს“ გვარიან პრობლემებს შეუქმნის.

საინტერესოა, როგორ წარმოაჩენს თავს „ვიტ ჯორჯია“ მეორე წრის დარჩენილ შეხვედრებში — ერთი მოგება, ერთი ფრე და ორი წაგება — ჯერჯერობით ასეთია ვიტელთა სამეორეწრეო მონაგარი, ბოლო ტურში კი მათ „ზესტაფონთან“ სულაც 0:5 წააგეს. ნესტორ მუმლაძის გუნდმა პირველი წრე მეორე ადგილით დაამთავრა, მაგრამ ვიტელებს „დინამოში“ გადასულ გიორგი ფეიქრიშვილის და დავით დიღმელაშვილის სრულფასოვანი შემცვლელები ჯერ არ ჰყავთ, რაც გუნდის შედეგებზეც აისახა. დღეს ვიტელები „ლოკომოტივს“ მასპინძლობენ და თუ კიდევ ვერ მოიგეს, მიმდინარე სეზონში ამბიციურ გუნდად ალბათ ველარ ჩაითვლებიან.

მეორე წრე წარმატებულად ვერც „ამერისთვის“ დაიწყო — ორი მოგება, ერთი ფრე და წაგება — ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდისთვის ეს კარგ შედეგად ვერ ჩაითვლება. „ამერს“ რამდენიმე ტრავმიანი ფეხბურთელი გამოუჯანმრთელდა და ალბათ უკეთ ათამაშდება — დღეს გიორგი ჩიხრაძის გუნდი ხელოვნურ საფარზე შეეცდება სამი ქულის აღებას, „ბორჯომი“ კი ალბათ ფრეზეც ყაბულს იქნება.

მოგებას ველით „ზესტაფონისგან“ და „ბათუმისგან“, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში ბოლო დროს მოლოდინი ხშირად არ მართლდება — გორში „ჩიხურას“ თავისი კონტინგენტით მართლაც შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება.

რაც შეეხება უფულოდ და უპატრონოდ დარჩენილ ქუთაისის „ტორპედოს“, გუშინ საღამოს გაურკვეველი იყო, უსახსრობის გამო მოახერხებდა თუ არა „ტორპედო“ გორში „დილასთან“ ჩასვლას.

**დავით თავართქილაძე**

ბორჯომი. 31 მარტი. 15 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

## ბორჯომი — ამერი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; კ. გუდურაშვილი, ლ. თოდრია; ა. ნონიკაშვილი

გორი. 31 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

## დილა — ტორპედო

მსაჯები: დ. სანაია; დ. კურტანიძე, ო. მოლოდინაშვილი; ზ. ახკაროლლი

თბილისი. 31 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი

## დინამო — სიონი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე, ზ. ფიფია; ვ. ელისაბედაშვილი

ბათუმი. 31 მარტი. 15 საათი. ადელი

## ბათუმი — კახეთი

მსაჯები: ლ. სილაგავა; გ. დოგრაშვილი, მ. ურუშაძე; კ. ქაჭუა

გორი. 31 მარტი. 15 საათი. ქართლი

## ჩიხურა — ზესტაფონი

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; კ. გაბრიაძე, კ. ბერაძე; ხ. გაგნიძე

მცხეთა. 31 მარტი. 15 საათი. არმაზი

## ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

მსაჯები: ლ. კვარაცხელია; მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე; ვ. გუმბერიძე

რუსთავი. 31 მარტი. 15 საათი. ფოლადი

## ოლიმპი — მერანი

მსაჯები: ო. ხეცაძე; ზ. ჯვარიძე, ი. უკლება; ი. ურუშაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 17 | 13 | 3 | 1 | 42:6 | 42 |
| დინამო | 17 | 13 | 0 | 4 | 35:13 | 39 |
| ზესტაფონი | 17 | 11 | 5 | 1 | 32:6 | 38 |
| ამერი | 17 | 11 | 4 | 2 | 33:11 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 10 | 4 | 3 | 35:23 | 34 |
| სიონი | 17 | 9 | 2 | 6 | 22:15 | 29 |
| ტორპედო | 17 | 8 | 4 | 5 | 18:15 | 28 |
| ბათუმი | 17 | 5 | 4 | 8 | 16:16 | 19 |
| ბორჯომი | 17 | 4 | 5 | 8 | 16:27 | 17 |
| მერანი | 17 | 4 | 5 | 8 | 14:29 | 17 |
| ლოკომოტივი | 17 | 4 | 4 | 9 | 12:23 | 16 |
| ჩიხურა | 17 | 3 | 4 | 10 | 11:27 | 13 |
| დილა | 17 | 0 | 3 | 14 | 9:45 | 3 |
| კახეთი | 17 | 0 | 1 | 16 | 11:51 | 1 |

# ზურაბ იონანიძე: სკამიდან გოლებს ვერ გავიტან

საქართველოს ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ზურაბ იონანიძე ბოლო დროს „ზესტაფონის“ ძირითადში ველარ ხვდება. იონას ერთი სული აქვს, როდის დაუბრუნდება ძირითადს და გოლებს...



## ჰერ, აქეთაც გვნახეთ!

— ჩემი უთამაშებლობის მიზეზი გუნდის მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძეს კითხეთ. ცუდ ფორმაში ნამდვილად არ ვარ. ყველა ვარჯიშზე ბოლომდე ვიხარჯები და, მე მგონი, ნორმალურადაც გამოვიყურები.

— საქართველოს ჩემპიონატში მეორასე გოლის გატანამდე რამდენიმე ბურთი გიკლია...

— ბუნებრივია, სათადარიგოთა სკამიდან გოლებს ვერ გავიტან, მაგრამ ვეცდები, მალე დავბრუნდე ძირითადში და ყველას დავუმტკიცო, რომ ისევ შემიძლია გატანა.

— „ზესტაფონის“ საჩემპიონო შანსებზე რას იტყვი?

— ამ სეზონში კარგი შანსი გვაქვს, ჩემპიონებიც გავხდეთ და თასიც მოვიპოვოთ. თუ ამის მიღწევა გვინდა, ნამდვილად აღარ გვაქვს უფლება „მერანის“ მსგავს გუნდებთან ქულები დავკარგოთ — მეთხუთმეტე ტურში მერანელებთან ხომ შინ ფრე ვითამაშეთ და მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ.

— „ზესტაფონის“ კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?

— რა თქმა უნდა, „ოლიმპს“, „ამერს“ და „დინამოს“.

— ეროვნული ნაკრების ბოლო მატჩებს როგორ შეაფასებ?

— გლაზგოში წაგებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ ისევ უიღბლობამ დაგვალალატა. ამ შეხვედრის ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა. ფარერებთან მეტი მობილიზება იყო საჭირო, მაგრამ შოტლანდიასთან ასეთი მარცხის შემდეგ ეს ძნელი აღმოჩნდა.

— ტოპმიოლერმა თქვა, საქართველოს ჩემპიონატში არ არის ის ხარისხი, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი რომ თამაშობდესო...

— ჩემი აზრით, ჩვენს ჩემპიონატში ნამდვილად მოიძებნება რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომელიც იმსახურებს ნაკრებში თამაშს.

**ნუკრი ლოლაძე**



# მიატოვიჩი ამ საქმეს არ მიატოვებს: რონალდუ და კაკა



მადრიდის „რეალის" სპორტულმა დირექტორმა პრედრაგ მიატოვიჩმა „ონდა სეროსთან" სამეფო გუნდის მომავალ სავარაუდო ტრანსფერებზე ისაუბრა. ჩერნიგორიელი ამტკიცებს, რომ ადრე თუ გვიან კრიშტიანუ რონალდუ და კაკა მადრიდული კლუბის ფეხბურთელები გახდებიან...

— „რეალის" პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა აღნიშნა, რომ კაკას და კრიშტიანუ რონალდუს დიდი სიამოვნებით შეიძენდა. თქვენც ასე ფიქრობთ?

— ცხადია. აბა, ვინ იტყვის უარს კაკას და კრიშტიანუ რონალდუს შემატებაზე?! ყველა კარგ გუნდს სურს ამ ფეხბურთელების ყიდვა, მაგრამ ჯერ ყველაფერი კარგად უნდა დავგეგმოთ. ვიცით, რომ ამ შესანიშნავ ფეხბურთელებს თავიანთ კლუბებთან კონტრაქტები აკავშირებთ და მათი „რეალში" გადმოყვანა არცთუ ადვილი საქმე იქნება — ყველაფერი კლუბებზე და, რა თქმა უნდა, თავად ფეხბურთელთა სურვილზეა დამოკიდებული. კარგი იქნება, თუ რომელიმეს ვიყიდით და უკეთესი, თუ „ბერნაბეუზე" ორივე ითამაშებს. თუმცა „მილანთან" და „მანჩესტერთან" მძიმე მოლაპარაკებების გამართვა დაგვჭირდება.

— ამბობენ, რომ კრიშტიანუ რონალდუს ძალიან უნდა მადრიდის „რეალში" თამაში...

— ესეც ვიცი. კრიშტიანუმ ინტერვიუებში თქვა, რომ მადრიდში უდიდესი სიამოვნებით ითამაშებდა, მაგრამ ეს მსოფლიოს ნებისმიერი ფეხბურთელის სურვილია.

— სენიორ პრედრაგ, თუ ფეხბურთელსაც „ბერნაბეუზე" გადმოსვლა სურს და „რეალიც" დაინტერესებულია პორტუგალიელის ყიდვით, მაშინ...

— თუ რონალდუს „რეალი" უნდა, „რეალს" კი რონალდუ და „მანჩესტერიც" პრობლემებს აღარ შექმნის, გაჩარხულა საქმე და ეგ არის. ამ შემთხვევაში ყველაფერი დადებითად გადაწყდება.

— კაკას გადმობირება ახლა შარშანდელზე უფრო ადვილია?

— არც წლეულს არის ადვილი და არც შარშან ყოფილა — „მილანს" კაკას ხელიდან გაშვება არ უნდა. ამჟამადაც ძნელია ბრაზილიელის ყიდვა და ვგონებ, გაისადაც ასე იქნება. მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან კაკა და კრიშტიანუ რონალდუ მადრიდში ჩამოვლენ, რადგანაც „რეალი" მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი კლუბია და ყველას აქ თამაში სურს.

— ბერნდ შუსტერი მადრიდის „რეალის" მომავალი მწვრთნელია?

— მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ „რეალს" ახლა ფაბიო კაპელო თავკაცობს.

— რაფაელ ბენიტესთან თუ აწარმოებთ მოლაპარაკებებს?

— ბენიტესთან „რეალში" გადმოსვლის თაობაზე არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია...

# მეფემ ნარკოტიკებს უგანა, ოღონდ სვამს ვეშაპივით...



დიეგო მარადონა კლაუდიასთან ხელმეორე გაბუტვას დარდობსო...

**მარადონას** პირადმა ექიმმა ალფრედო კაემ ჟურნალისტებთან შეხვედრისას აღიარა, რომ ფეხბურთის მეფემ ნარკოტიკები ალკოჰოლით ჩაანაცვლა.

„დიეგო პირად და ოჯახთან დაკავშირებული პრობლემების გამო დეპრესიაშია. სამწუხაროდ, მარადონა კვლავ მკურნალობას საჭიროებს, ოღონდ ახლა სენი ნარკოტიკები კი არა, სასმელია" — აღნიშნა დოქტორმა კაემ.

დიეგოს დიეტაც დავიწყებია და არგენტინაში ახლა მის კატასტროფულ მადაზე საუბრობენ. იქაურ მედიაში იწერება, მეფემ ორი წლის წინ კოლუმბიაში კუჭზე ჩატარებული ოპერაცია და დაგდებული კილოგრამები ფეხზე დაიკიდა და კვლავ ბარაქიანად ჭამა-ყლაპვას დაუბრუნდაო.

მოკლედ, ლეგენდარული კაცის თავს ცუდი რამ ხდება და ბუენოსაირესულ გემესის კლინიკაშიც იმიტომ არის გამოკეტილი.

ამბობენ, რომ მარადონამ მეუღლესთან კვლავ გაიფუჭა ურთიერთობა. კლაუდია ვილაფანიე, რომელსაც არგენტინაში ჭირვეული ვარსკვლავის სიგიჟეთა ატანის გამო „წმინდა კლაუდია" შეარქვეს, ოპერაციის შემდეგ გადარეულ ქმარს თითქმის შეურიგდა, მაგრამ რაც მეფემ სმა დაიწყო, ისევ გაებუტა.

ცოლისგან განსხვავებით, დიეგო შვილებმა არ მიატოვეს — დალმა და ჯანინა მამას არ სცილდებიან. პატაგონიური „კლარინი" წერს, ძალიან გულის ამაჩუყებელია ეს ყველაფერიო...

**ლადო ხომერიკი**

## ხელი გაუშვი!

**ჯონ ტერიმ** ანდორასთან მატჩის შემდეგ მეტოქის კაპიტან ოსკარ ონეზეს ჟერმენ დეფოს მაისურა წაართვა. ეს ჩხუბის ამბავი გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში, როცა ონეზემ მაისურის გაცვლა მოინდომა — დეფომ მიაწოდა, მაგრამ იქვე გაჩნდა ტერი, ანდორელს მაისური ხელიდან გამოჰგლიჯა, თანაგუნდელს მიაწოდა და უბრძანა, გასახდელში შესულიყო.

ინგლისის ნაკრების კაპიტანი მეტოქე ფეხბურთელების უხეშობის და სიმულაციების გამო ყოფილა გაბრაზებული.

## რას აშენებს გარი?

**„მანჩესტერ იუნაიტედის"** კაპიტანი გარი ნევილი ქალაქ ბოლტონთან სახლს იშენებს, რამაც იქაურები გააბრაზა. ადგილობრივებმა ქალაქის თავთანაც კი იჩივლეს, მოკრძალებული არქიტექტურის ფონზე ეს ფეშენებელური შენობა ცუდად გამოიყურება და საერთო სურათს აფუჭებსო.

## ლამპარდს მოუმატებენ

**„დეილი მირორის"** ცნობით, ფრენკ ლამპარდი უახლოეს დღეებში ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ამ ხნის განმავლობაში 30 მილიონ გირვანქას მიიღებს.

„ჩელსის" შეფების აზრით, ასეთი ხელშეკრულება ლამპარდს გუნდიდან წასვლას გადააფიქრებინებს. კვირაში იგი 120 ათას გირვანქას ჩაიჯიბავს, რაც წინა ხელფასზე 25 ათასით მეტია.

## ფარფანის შანსი

**ლონდონის** „არსენალმა", შესაძლოა, ჰოლანდიური პსვ-დან პერუელი ფორვარდი ჯეფერსონ ფარფანი შეიძინოს.

პერუელით „ჩელსიცაა" დაინტერესებული, რომელსაც პსვ-სთან კარგი საქმიანი ურთიერთობა აქვს, მაგრამ თუ ჩელსელები „ინტერიდან" ერნან კრესპოს დაიბრუნებენ, მაშინ „არსენალს" ფარფანის შეძენის მეტი შანსი ექნება.

## რონალდინიო: სად ხართ?

**რონალდინიო** უკმაყოფილოა იმით, რომ შვედეთიდან ბარსელონაში დაბრუნებულს კლუბის წარმომადგენლებიდან არავინ დახვდა.

შვედეთში ბრაზილიის ნაკრებმა განას და ჩილეს ამხანაგურ მატჩებში მოუგო. ადრე „ბარსელონას" ფეხბურთელებს ყოველთვის აცილებდნენ ოფიციალური პირები სანაკრებო თამაშებზე და უკან დაბრუნებისასაც ხვდებოდნენ. მეტიც, კერძო თვითმფრინავსაც კი უგზავნიდნენ, ხოლო რონალდინიოს არ შეეგებნენ, რამაც ფეხბურთელი ძალიან გააბრაზა.

## კანი უკან გამოიტანეს

**მიუნხენის** „ბაიერნი" ოლივერ კანის დისკვალიფიკაციის გასაჩივრებას აღარ აპირებს.

კლუბმა ოფიციალურად განაცხადა, რომ აპელაციას შეიტანდა, მაგრამ გადაიფიქრა და „მილანთან" მატჩისთვის მომზადებაზე გადაერთო.

კანს ერთმატჩიანი სასჯელი მადრიდის „რეალთან" მატჩის შემდეგ, ექიმთან შეკამათების გამო გამოუწერეს.

ამგვარად, „მილანთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში კანის ნაცვლად კარში მიხაელ რენსინგი ჩადგება.

**ვაჟა ხუციშვილი**




## ლიბერტადორესის თასი 2007

IV ჯგუფი. IV ტური

**ინტერნასიონალი (ბრაზილია) 0:0 ველეს სარსფილდი (არგენტინა)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ველეს სარსფილდი | 4 | 2 | 2 | 0 | 5:1 | 8 |
| ნასიონალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ინტერნასიონალი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ემელეკი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |

IV ჯგუფი. IV ტური

**რივერ პლეიტი (არგენტინა) 0:0 ლიგა დე კიტო (ეკვადორი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარაკასი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:4 | 6 |
| ლიგა დე კიტო | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 5 |
| რივერ პლეიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| კოლო კოლო | 3 | 1 | 0 | 2 | 6:5 | 3 |

VII ჯგუფი. IV ტური

**ბოლივარი (ბოლივია) 2:3 სიენსიანო (პერუ)**

1:0 ლეიტაო (12), 1:1 მარინო (34), 1:2 ხ. გონსალესი (64), 2:2 ლეიტაო (67), 2:3 ურიბე (82პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| სიენსიანო | 4 | 2 | 0 | 2 | 9:6 | 5 |
| ტოლუკა | 4 | 2 | 0 | 2 | 5:6 | 6 |
| ბოლივარი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |

VIII ჯგუფი. IV ტური

**დეფენსორ სპორტინგი (ურუგვაი) 3:0 დეპორტივო პასტო (კოლუმბია)**

1:0 იტურალდე (13), 2:0 კ. მორალესი (27პ), 3:0 პეინადო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 4 | 4 | 0 | 0 | 7:1 | 12 |
| დეფენსორ სპორტინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| ხიმნასია | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | 3 |
| დეპორტივო პასტო | 4 | 0 | 0 | 4 | 3:9 | 0 |

# აბიდალი შეფასდა, ჯერი ბარსაზეა



**ლიონელ** ერიკ აბიდალს შემცვლელი მოუძებნეს — ალჟირის ნაკრების წევრი ნადირ ბელჰჯი, რომელიც „ლიონს" „სედან-ში" ჰყავს განათხოვრებული.

აბიდალის ყიდვა კი „ბარსელონას" სურს — ფრანგები 20-25 მილიონ ევროს ითხოვენ.

თავის დროზე „ლიონმა" აბიდალი „ლილ-იდან" 10 მილიონ ევროდ შეიძინა. „ფრანს ფუტბოლი" ვარაუდობდა, რომ „ლომები" მცველს 12 მილიონ ევროდ დაუთმობდნენ „ბარსას", თუმცა...

„ერიკ აბიდალი 12 მილიონ ევროზე ძვირი ღირს. თუ მისი ბარსელონური ტრანსფერი შედგა, ეს 20 მილიონ ევროზე ნაკლებად არ მოხდება" — ნათქვამია კლუბის ოფიციალურ კომუნიკეში.

2006 წლის ზაფხულში აბიდალმა თქვა, საფრანგეთის ჩემპიონატში ბოლო სეზონს ვთამაშობ და „ლიონთან" კონტრაქტს აღარ გავაგრძელებო.

ამჟამინდელი ხელშეკრულებით, ფეხბურთელი კლუბს 2009 წლის ივნისამდე ეკუთვნის, მაგრამ ფრანგული მედია აცხადებს, რომ ერიკი ჟერარ ულიეს ბანაკს გაცილებით ადრე დატოვებს. ხუმრობა საქმე ხომ არაა, „ბარსას" გარდა აბიდალზე „რეალი", „არსენალი" და „მილანი" ნადირობენ.

ფეხბურთელთან დაახლოებული პირები კი აცხადებენ, აბიდალს „ბარსელონა" არ ასცდებაო — ლიონელის აგენტი ოსკარ დამიანი სულაც „ბარსას" მწვრთნელ ფრანკ რაიკარდის ახლო მეგობარი ყოფილა.

„ერიკს ადრე იტალიაში გადასვლა უნდოდა, თუმცა იქ რასიზმი მძვინვარებს და ფეხბურთელმაც გადაწყვიტა, ესპანეთში ან ინგლისში წავიდეს. ჯერ „ბარსელონაზე" ვფიქრებთ, ხოლო შემდეგ ლონდონის „არსენალზე" — განუცხადა პრესას აბიდალის მეგობარმა დავიდ ვენდიტელიმ.

**ლადო ხომერიკი**

# რონალდინიო უმდიდრესია



**ჟურნალ** „ფორბსის" ცნობით, რონალდინიო ფეხბურთელთა შორის ყველაზე მდიდარია და მან დევიდ ბექჰემს გაუსწრო.

2006 წელს ბრაზილიელმა 23 მილიონ 500 ათასი ევრო მოაგროვა, ხოლო ინგლისელმა 300 ათასით ნაკლები.

მაგრამ ბექჰემი მომავალი სეზონიდან გახდება უმდიდრესი, რადგან „ლოს ანჯელეს გალაქსიში" გადასვლის შემდეგ ხუთწლიან კონტრაქტში 250 მილიონ დოლარს მიიღებს.

კლუბებს შორის კი ყველაზე ჯიბესქელი „მანჩესტერ იუნაიტედია", მილიარდ 137 მილიონი ევრო შემოსავლით. მეორე ადგილზეა მადრიდის „რეალი" (811 მილიონი), ხოლო მესამეზე გადაინაცვლა ლონდონის „არსენალმა" (716 მილიონი).

**ვაჟა ხუციშვილი**



# BEST BECKS!

**ინგლისის** ნაკრების ყოფილი კაპიტანი დევიდ ბექჰემი ბრიტანულ სპორტში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვეს.

მადრიდის „რეალის" ნახევარმცველს, ვინც ამ ზაფხულს „ლოს ანჯელეს გალაქსიში" გადადის, პრიზი ლონდონის „არსენალის" თავდამსხმელმა ტიერი ანრიმ და ოლიმპიადა 2012-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ სებასტიან კოუმ გადასცეს. ცერემონია ლონდონში მოეწყო.

საინტერესოა, რომ ბექჰემზე თავისი აზრი საჯაროდ გამოთქვა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა: „დევიდ ბექჰემმა თავისი უზადო თამაშით ალალად დაიმსახურა ეს ჯილდო. ის ღირსეული ინგლისელია".

შეგახსენებთ, რომ ბექჰემი ახლა ტრავმას იმუშებს და ამით გამოწვეულ უქმე პერიოდს სამშობლოში ატარებს.

**კახა შალამბერიძე**

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ლივერპული | : | არსენალი |
| მანჩესტერი | : | ბლექბერნი |
| ნიუკასლი | : | სიტი |
| უოტფორდი | : | ჩელსი |
| ვესტ ჰემი | : | მიდლსბრო |
| ბოლტონი | : | შეფილდი |
| ჩარლტონი | : | უიგანი |
| ფულემი | : | პორტსმუთი |
| **ხვალ** | | |
| ტოტენჰემი | : | რედინგი |
| **ზეგ** | | |
| ასტონ ვილა | : | ევერტონი |

# ინგლისი
# ვერ შეგპირდებით!

**სანაპრებო** რია-რია დამთავრდა და პრემიერლიგაში „მანჩესტერისა" და „ჩელსის" შეჯიბრი დღეს განახლდება. ალექს ფერგიუსონის გუნდი „ბლექბერნს" უმასპინძლებს ჩრდილოდასავლურ დერბიში, ხოლო ჟოზე მაურინიუ სამი ქულისთვის უოტფორდში ჩავა.

რა თქმა უნდა, მათი შეჯიბრი მთავარია, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა „ლივერპულისა" და „არსენალის" შეხვედრა „ენფილდზე".

„მანჩესტერი" ექვსი ქულით უსწრებს „ჩელსის" და 2003 წლის შემდეგ პირველად აქვს გაჩემპიონების შანსი. „ჩელსი" კი ზედიზედ მესამე „ოქროსთვის" იბრძვის.

ალექს ფერგიუსონი შეალონეს, 1999 წლის მსგავსად „ტრიოს" ხომ არ აპირებთო. 1999-ში „მანჩესტერმა" პრემიერლიგაც მოიგო, ინგლისის ასოციაციის თასიც და ჩემპიონთა ლიგაც.

შოტლანდიელი მწვრთნელი უარობს: „ეს სულ სხვა გუნდია. მაშინ ტრავმები არ გვაწუხებდა, ახლა კი ტრავმების გამო ბევრი ფეხბურთელი გამოგვაკლდა და ვერავის შევპირდები, რომ სამივე ჯილდოს მოვიგებთ".

„მანჩესტერს" დააკლდება მცველი და კაპიტანი გარი ნევილი, ვინც „ბოლტონთან" მატჩში დაშავდა. სხვა მხრივ, ფერგიუსონის შეგირდებს დანაკლისი არ აქვთ. რაც შეეხება „ჩელსის", ფრენკ ლამპარდს მაჯა სტკივა, მაგრამ ალბათ ითამაშებს.

„ენფილდზე" კი „ლივერპული" „არსენალს" უმასპინძლებს. ამ სეზონში უკვე სამჯერ შეხვდნენ ეს გუნდები — „მეთოფეებმა" ჩემპიონატში 3:0 მოუგეს რაფა ბენიტესის გუნდს, შემდეგ ასოციაციის თასზე 3:1 იმარჯვეს ლივერპულში და ბოლოს 6:3 ასევე „ენფილდზე". ამგვარად, „ლივერპულს" საკმარისი მიზეზი დაუგროვდა „არსენალზე" შურისძიებისთვის, თუმც ბენიტესის შეგირდებს მომავალ კვირაში პსვ-სთან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩი ელით და ეგებ „არსენალთან" მატჩში ძალები დაზოგონ.

„მეთოფეებს" კი ლივერპულში ფრეც ხელს აძლევთ, რადგან მესამე, ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილს შეინარჩუნებენ.

„არსენალს" დაუბრუნდებიან ტრავმამოშუშებული ემანუელ ებუ და გაელ კლიში. ძირითად შემადგენლობაში იქნება სასჯელმოხდილი ფორვარდი ემანუელ ადებაიორიც, რომელსაც „კარლინგის" თასის ფინალში „ჩელსისთან" ჩხუბის გამო ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა.

დიდი ბრძოლა გაიმართება ცხრილის ქვედა ნაწილშიც. ბოლო ხანებში მოყოჩაღებული „ჩარლტონი" „უიგანს" უმასპინძლებს, ხოლო „ვესტ ჰემს" „მიდლსბროსთან" მოგება სჭირდება, პრემიერლიგაში დასარჩენად ბრძოლა რომ გააგრძელოს.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 1:1 | 0:1 | 2:0 | 4:1 | 3:0 | 1:0 | 3:2 | 3:0 | | 2:0 | | 3:1 | 5:1 | 3:1 | 3:1 | | 2:0 | | 4:0 | 30 | 24 | 3 | 3 | 70:20 | 75 | 13 | 1 | 1 | 39:9 | 40 | 11 | 2 | 2 | 31:11 | 35 |
| 2 | ჩელსი | | | 1:1 | 1:0 | | | | 2:2 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 3:0 | 1:1 | 2:2 | 3:0 | 4:0 | 3:0 | 2:1 | 1:0 | 4:0 | 30 | 21 | 6 | 3 | 54:19 | 69 | 11 | 4 | 0 | 33:8 | 37 | 10 | 2 | 3 | 21:11 | 32 |
| 3 | არსენალი | 2:1 | | | 3:0 | | 1:1 | 3:0 | 2:1 | 2:2 | 6:2 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | | 2:1 | 3:0 | 4:0 | | 3:0 | 29 | 16 | 7 | 6 | 51:24 | 55 | 9 | 5 | 0 | 34:11 | 32 | 7 | 2 | 6 | 17:13 | 23 |
| 4 | ლივერპული | 0:1 | 2:0 | | | 3:0 | 0:0 | 3:0 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 2:0 | | 3:1 | 4:0 | 1:0 | | 4:0 | | 2:1 | 2:0 | 30 | 16 | 6 | 8 | 44:20 | 54 | 11 | 3 | 1 | 29:4 | 36 | 5 | 3 | 7 | 15:16 | 18 |
| 5 | ბოლტონი | 0:4 | 0:1 | 3:1 | 2:0 | | | 2:0 | | 3:2 | 1:2 | 2:1 | 0:0 | | 2:1 | 0:0 | 0:1 | | 1:1 | 4:0 | 1:0 | 30 | 14 | 5 | 11 | 35:38 | 47 | 8 | 3 | 4 | 21:14 | 27 | 6 | 2 | 7 | 14:24 | 20 |
| 6 | ევერტონი | | 2:3 | 1:0 | 3:0 | 1:0 | | 1:2 | 1:1 | | 1:0 | 3:0 | 0:0 | 0:1 | | 1:1 | 2:2 | 2:0 | | 2:0 | 2:1 | 30 | 12 | 10 | 8 | 38:26 | 46 | 8 | 4 | 3 | 22:11 | 28 | 4 | 6 | 5 | 16:15 | 18 |
| 7 | ტოტენჰემი | 0:4 | 2:1 | | 0:1 | 4:1 | 0:2 | | | 2:1 | | 2:3 | 2:1 | 2:1 | 0:0 | | 3:1 | 2:0 | 5:1 | 1:0 | 3:1 | 30 | 13 | 6 | 11 | 43:44 | 45 | 10 | 1 | 4 | 28:18 | 31 | 3 | 5 | 7 | 15:26 | 14 |
| 8 | რედინგი | 1:1 | 0:1 | 0:4 | | 1:0 | 0:2 | 3:1 | | 0:0 | 1:2 | | 3:2 | 2:0 | | 1:0 | 3:2 | 3:1 | 2:0 | 6:0 | | 30 | 13 | 5 | 12 | 43:38 | 44 | 9 | 2 | 4 | 26:16 | 29 | 4 | 3 | 8 | 17:22 | 15 |
| 9 | პორტსმუთი | | 0:2 | | | 0:1 | 2:0 | 1:1 | 3:1 | | 3:0 | | 0:0 | 2:2 | 1:1 | 2:1 | 1:0 | 3:1 | 0:1 | 2:0 | 2:1 | 30 | 11 | 9 | 10 | 36:31 | 42 | 8 | 4 | 3 | 22:12 | 28 | 3 | 5 | 7 | 14:19 | 14 |
| 10 | ბლექბერნი | 0:1 | 0:2 | 0:2 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 1:1 | | 3:0 | | 1:3 | 2:1 | | 2:0 | 4:2 | 2:1 | 2:1 | | 1:2 | | 30 | 12 | 4 | 14 | 36:41 | 40 | 7 | 2 | 6 | 20:18 | 23 | 5 | 2 | 8 | 16:23 | 17 |
| 11 | ნიუკასლი | 2:2 | | | 2:1 | 1:2 | 1:1 | 3:1 | 3:2 | 1:0 | | | 0:0 | 3:1 | 1:2 | | 2:1 | 0:1 | 0:0 | 2:2 | 2:1 | 30 | 10 | 7 | 13 | 34:39 | 37 | 7 | 5 | 3 | 23:17 | 26 | 3 | 2 | 10 | 11:22 | 11 |
| 12 | მიდლსბრო | 1:2 | 2:1 | 1:1 | 0:0 | 5:1 | 2:1 | | 2:1 | 0:4 | 0:1 | 1:0 | | | | 0:2 | 1:1 | 3:1 | 2:0 | 1:0 | | 30 | 9 | 9 | 12 | 32:36 | 36 | 8 | 3 | 4 | 21:16 | 27 | 1 | 6 | 8 | 11:20 | 9 |
| 13 | ასტონ ვილა | 0:3 | 0:0 | : 0:1 | 0:0 | 0:1 | | 1:1 | 2:1 | | 2:0 | 2:0 | 1:1 | | 1:1 | 1:3 | | | 2:0 | 1:0 | 2:0 | 30 | 7 | 13 | 10 | 29:35 | 34 | 6 | 5 | 4 | 15:12 | 23 | 1 | 8 | 6 | 14:23 | 11 |
| 14 | ფულემი | 1:2 | 0:2 | 2:1 | | 1:1 | 1:0 | 1:1 | 0:1 | | | 2:1 | 2:1 | 1:1 | | | 0:1 | 1:0 | 2:1 | 0:0 | 0:0 | 30 | 7 | 13 | 10 | 31:44 | 34 | 6 | 5 | 4 | 14:13 | 23 | 1 | 8 | 6 | 17:31 | 11 |
| 15 | სიტი | | : 0:1 | 1:0 | | 0:2 | 2:1 | 1:2 | 0:2 | 0:0 | 0:3 | 0:0 | 1:0 | | 3:1 | | 0:1 | 0:0 | | 2:0 | 0:0 | 29 | 9 | 6 | 14 | 22:34 | 33 | 5 | 4 | 6 | 10:13 | 19 | 4 | 2 | 8 | 12:21 | 14 |
| 16 | უიგანი | 1:3 | 2:3 | 0:1 | 0:4 | | 0:2 | | 1:0 | 1:0 | 0:3 | 1:0 | | 0:0 | 0:0 | 4:0 | | 0:1 | 3:2 | | 1:1 | 30 | 9 | 6 | 15 | 30:44 | 33 | 5 | 3 | 7 | 14:20 | 18 | 4 | 3 | 8 | 16:24 | 15 |
| 17 | შეფილდი | 1:2 | 0:2 | 1:0 | 1:1 | 2:2 | 1:1 | 2:1 | 1:2 | 1:1 | 0:0 | | 2:1 | 2:2 | 2:0 | 0:1 | | | 2:1 | | | 30 | 8 | 7 | 15 | 25:44 | 31 | 5 | 6 | 4 | 18:17 | 21 | 3 | 1 | 11 | 7:27 | 10 |
| 18 | ჩარლტონი | 0:3 | 0:1 | 1:2 | 0:3 | 2:0 | 1:1 | | | 0:1 | 1:0 | 2:0 | 1:3 | 2:1 | 2:2 | 1:0 | | | | 4:0 | 0:0 | 30 | 7 | 6 | 17 | 28:49 | 27 | 6 | 3 | 6 | 17:17 | 21 | 1 | 3 | 11 | 11:32 | 6 |
| 19 | ვესტ ჰემი | 1:0 | | 1:0 | 1:2 | | | 3:4 | 0:1 | 1:2 | 2:1 | 0:2 | | 1:1 | 3:3 | 0:1 | 0:2 | 1:0 | 3:1 | | 0:1 | 30 | 6 | 5 | 19 | 23:51 | 23 | 5 | 2 | 8 | 17:21 | 17 | 1 | 3 | 11 | 6:30 | 6 |
| 20 | უოტფორდი | 1:2 | | 1:2 | 0:3 | 0:1 | 0:3 | 0:0 | 0:0 | | 2:1 | | 2:0 | 0:0 | 3:3 | | : 1:1 | 0:1 | 2:2 | 1:1 | | 30 | 3 | 11 | 16 | 19:46 | 20 | 2 | 7 | 6 | 13:20 | 13 | 1 | 4 | 10 | 6:26 | 7 |

# წარმოუდგენელი წელი

## ფილიპ ლამი: მგონი, არსად გავფრენილვარ

**შარშან ზაფხულს, გერმანიაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი გოლი მასპინძელთა ნაკრების ნევრმა ფილიპ ლამმა გაიტანა. 23 წლის მცველს მაშინდელი განწყობა ჯერაც არ განელებია, თან uefa.com-ის მკითხველებმა იგი წლის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს. მერედა, ლამის „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშია...**



**— ქომაგთა გამოკითხვის შედეგები თქვენთვის რას ნიშნავს?**

— uefa.com-ის სიმბოლური ნაკრების წევრობა დიდი პატივია. დიდი მადლობა ყველას, ვინც ხმა მომცა. მართალი გითხრათ, მანამდე ვერც წარმოვიდგენდი, რომ რონალდინიოს, კანავაროს და ბუფონის გვერდით დამასახელებდნენ.

**— და ის, რომ ამ დიად კომპანიაში საკმაოდ ახალგაზრდა მოხვდით, დამატებითი სიამაყის საბაბი არ არის?**

— უთუოდ. მით უფრო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ფეხი მომტყდა, ჯვარედინი მყესი გამიწყდა და იდაყვიც დამიშავდა. სწორედ ამიტომ გახლდათ განსაკუთრებით სასიამოვნო 2006 წლის ასე ჩამთავრება.

**— როგორ ართმევთ კლუბსა და ნაკრებში თამაშს თავს?**

— „ბაიერნმა“ გერმანიის ჩემპიონობა და თასი (ჩემი პირველი ტიტულები) საკმაოდ ადრე მოიპოვა, თუმცა ფეხბურთელი ყოველთვის უნდა ემზადებოდეს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, მით უმეტეს, როდესაც ეს ჩემპიონატი მის სამშობლოში ტარდება. ასეთი რამ ცხოვრებაში ერთხელ ხდება და ეს შანსი, ცხადია, უნდა გამომეყენებინა. ასეთ დროს ზეწოლა დიდია, მაგრამ სიამოვნებაც ძალიან დიდი გახლავთ.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ღრუბლებიდან მიწაზე დაშვება არ გაგიჭირდათ?**

— არა, ეს ძნელი არ გახლდათ. მეტიც, სულაც არ ვფიქრობ, რომ მიწას ძალიან მოვშორდით. ოჯახი, აი, რა გაკავებს მიწაზე. ვფიქრობ, ფეხბურთელში უპირველესად უნდა დავინახოთ მძიმე ფეხები, რომლითაც ის ყოველ დილას იღვიძებს; იმის ცოდნა, რომ თავისუფალი არ არის; ხანმოკლე არდადეგები და სეზონისთვის მოსამზადებელი პერიოდი.

**— ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნმა“ „რეალი“ გააგდო და ახლა „მილანს“ ხვდება. ის, რომ მილანელებს რთული სეზონი უდგათ, თქვენ ფავორიტებად გაქცევთ?**

— არა. „მილანს“ ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდა, ჩვენ კი მიზნად ყოველი მომდევნო თამაშის მოგებას ვისახავთ. ხომ ნახეთ ჩვენი და „რეალის“ მატჩი? ჩვენთვის პირველ შეხვედრაში სტუმრობა უპირატესობა იყო. შარშან მერვედფინალში გამარჯვებულ გუნდთა უმეტესობამ მეოთხედფინალში პირველი თამაში სტუმრად ჩაატარა. ჩვენ წლეულს მაშინდელზე უკეთ ვართ მომზადებულნი და იმედით შევყურებთ „მილანთან“ დაპირისპირებას.

**— ეს თავდაჯერებულობა საიდან მოდის?**

— ამ კითხვაზე პასუხი იოლია: ბოლოდროინდელი შედეგებიდან. ამ სეზონის პირველი ნახევარი ცუდი გვქონდა. ცუდად დავიწყეთ მეორე ნახევარიც, მაგრამ მერე ფორმაში შევედით და ამაში დარწმუნება მიუნხენსა და მადრიდშიც შევძელით. ვფიქრობ, ჩვენთვის ყველაფერი საბოლოოდ მადრიდული თამაშის ბოლო 30 წუთში შემოტრიალდა.

**— ბუნდესლიგაში „შალკეს“ ჩამორჩებით. რა უფრო ადვილი იქნება თქვენთვის — გერმანიის ჩემპიონობის შენარჩუნება თუ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება?**

— ორივე შესაძლებელი, მაგრამ ძნელია. რასაკვირველია, ყველაფერს ვიღონებთ ორივე ჯილდოს მოსაგებად, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, რომ თუნდაც ერთი ამათგანის მოგება უძნელესი საქმეა.

**— „მილანის“ ძალა რაშია?**

— ისევე, როგორც ნებისმიერი იტალიური გუნდი, „მილანიც“ დაცვაში კომპაქტურია და მოწინააღმდეგის შეცდომას ელის. იტალიელებთან თამაში ყოველთვის ძნელია, მით უმეტეს, რომ მათ ჰყავთ ფეხბურთელები, რომელთაც ნებისმიერ წუთს შეუძლიათ გოლის გატანა.

**— პაოლო მალდინი დროულად რომ ვერ გამოჯანმრთელდეს და თქვენ წინააღმდეგ ვერ ითამაშოს, ეს თქვენთვის უპირატესობა იქნება?**

— მგონი, იქნება. ის ჩემთვის სამაგალითო ფეხბურთელია, რომელმაც უმაღლეს დონეზე ათ წელიწადზე დიდხანს ითამაშა. მალდინის არყოფნა ჩვენთვის კარგი იქნება.

**— მას მერე, რაც „ლიონი“ და „ბარსელონა“ გავარდნენ, შეჯიბრი საკმაოდ გაიხსნა. როგორ ფიქრობთ, ვინ შეიძლება, მოიგოს?**

— ტურნირში მონაწილეობენ ინგლისური გუნდები და „მილანი“, ისინი კი ბოლო წლებში ძალიან წინ მიდიან. არის რამდენიმე აუტსაიდერიც, მაგრამ მათთვის ანგარიშის არგაწევა არ შეიძლება.

**— მაგალითად, „ბაიერნი“?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ მეოთხედფინალში ვართ და ამ ეტაპზე ნახევარფინალში გასვლა ყველაფრად მიგვაჩნია.

**— და ბოლოს, რას ნიშნავს ოტმარ ჰიცფელდის დაბრუნება?**

— ის ძალიან გამოცდილია და კლუბზე, რომელშიც ადრე ექვსი წელიწადი გაატარა, ყველაფერი იცის. ის დიდი მწვრთნელია.

| XXVII ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| არმინია | : | დორტმუნდი |
| *ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვ.) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არ არის* | | |
| **დღეს** | | |
| გლადბახი | : | აინტრახტი |
| შტუტგარტი | : | ალემანია |
| კოტბუსი | : | ვერდერი |
| ბაიერნი | : | შალკე |
| მაინცი | : | ლევერკუზენი |
| ნიურნბერგი | : | ჰერტა |
| **ხვალ** | | |
| ბოხუმი | : | ჰანოვერი |
| ჰამბურგი | : | ვოლფსბურგი |

# გერმანია

## ოტმარ ჰიცფელდი: ფინალები დაგვრჩა

**მიუნხენის** „ბაიერნს“ ჩემპიონობის მცირე შანსი აქვს, მაგრამ შანსის გაზრდა შეიძლება, თუ დღეს „შალკეს“ მოუგებს. შარშანდელი ჩემპიონი ამ სეზონის ფავორიტს და ბუნდესლიგის ლიდერს „მილანთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ ხვდება. გერმანელი მიმომხილველები კი ამბობენ, რომ „ბაიერნის“ შეფებმა პირველობისთვის ბრძოლაზე ხელი აიღეს და მთელი ყურადღება ჩემპიონთა ლიგაზე და ბუნდესლიგაში მეორე-მესამე ადგილის დაკავებაზე გადაიტანესო.

ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა ბოლო ორ ტურში ერთი ქულა აიღო. ჯერ ბრემენის „ვერდერთან“ შინ 1:1 ითამაშა, მერე კი ფრანკფურტში „აინტრახტთან“ 0:1 წააგო.

„შალკეს“ კვლავ არ ეყოლება ბრაზილიელი ნახევარმცველი ლინკოლნი, რომელსაც ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს და დღევანდელი მატჩის მერე ერთიღა დარჩება მოსახდელი. სხვა მხრივ, სტუმრებს ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ, მათ შორის, ტრავმამოშუშებული პიტერ ლოვენკრანდსი და გუსტავო ვარელა.

„ბოლო ორ მატჩში ხუთი ქულის დაკარგვა საშინელება იყო. ახლა მხოლოდ ფინალებიღა დაგვრჩა. ზედა სამეულში, რაც შეიძლება, მალე უნდა შევიდეთ. „შალკესთან“ მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მერეც რთული შეხვედრები გველის. დღევანდელ მატჩში კი სამი ქულა აუცილებლად გვჭირდება“ — თქვა ჰიცფელდმა.

„შალკეს“ მწვრთნელ მირკო სლომკასთვის კი კარგი ამბავი ისაა, რომ ბუნდესლიგაში ბოლო ხანს ვერგამტანმა კევინ კურანიმ ჩეხეთთან სანაკრებო მატჩში ორი გოლი შეაგდო.

„ბაიერნი“ თუ მოუგებს „შალკეს“, ბრემენის „ვერდერს“ პირველ ადგილზე გადასვლის შანსი ექნება, ოღონდ, თავის მხრივ, სტუმრად „კოტბუსს“ უნდა სძლიოს. ვერდერელთა ნახევარმცველი ტიმ ბოროვსკი გამოკეთდა და ვარჯიშობს, მაგრამ უახლოეს ორსამ კვირაში ძირითად შემადგენლობაში ვერ ითამაშებს.

მიროსლავ კლოზე მომჯობინდა და ალბათ ითამაშებს, თუმცა ტრავმირებულია აარონ ჰუნტი.

მესამეადგილოსანი „შტუტგარტი“ „ალემანიას“ უმასპინძლებს, რომელმაც ბოლო ხუთ ტურში ოთხი მოიგო და კარგ ფორმაშია. „შტუტგარტმა“ კი უკვე ოთხი მატჩია, გამარჯვების გემო არ იცის.

„დორტმუნდის“ ახალი მწვრთნელი თომას დოლი ეცდება, სამი ქულა აიღოს სტუმრად „არმინიასთან“, რომელიც, დორტმუნდელების მსგავსად, ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის. ორივე გუნდმა ბოლო ხუთ მატჩში თითო მოიგო.

მეორე წრის კარგად დამწყებმა „ნიურნბერგმა“ მარტში უკლო და მასსავით დაღმავალ „ჰერტას“ დაუხვდება — ბერლინელებმა ხომ ხუთ თამაშში მხოლოდ ქულა აიღეს. „ჰერტას“ პრინს ბოატენგი და არნე ფრიდრიხი დააკლდებიან.

ზედიზედ სამი ფრის შემდეგ „ჰამბურგი“ „ვოლფსბურგთან“ ეცდება სამი ქულის მოპოვებას. ჰამბურგელებს არ ეყოლებათ მთავარი მწვრთნელი ჰუუბ სტევენსი, რადგან ცოლი ჰყავს ავად და ჰოლანდიაში გაემგზავრა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალკე | | 2:0 | 1:0 | 2:2 | 0:1 | | 2:1 | 2:0 | 2:1 | 2:0 | | 1:1 | 4:0 | 0:2 | 3:1 | 2:1 | | |
| 2 | ვერდერი | 0:2 | | 2:3 | 3:1 | 2:1 | | 3:0 | 3:1 | | 2:1 | 1:1 | | 2:0 | 0:2 | 1:3 | 3:0 | 3:0 | 3:0 |
| 3 | შტუტგარტი | 3:0 | 4:1 | | | 3:0 | 0:3 | | 0:0 | | 0:0 | | 1:1 | | 2:0 | 1:3 | 1:0 | 3:2 | 1:0 |
| 4 | ბაიერნი | | 1:1 | 2:1 | | | 0:0 | 0:1 | 4:2 | 2:1 | 2:1 | 2:1 | 2:0 | | | 2:0 | 0:0 | 1:0 | 1:1 |
| 5 | ლევერკუზენი | 3:1 | 0:2 | 3:2 | 2:3 | | | 0:1 | 2:1 | 3:0 | 1:1 | 3:1 | 2:2 | 1:1 | 1:2 | | | | 1:0 |
| 6 | ნიურნბერგი | 0:0 | 1:2 | 4:1 | 3:0 | 3:2 | | 3:1 | | | | 1:0 | 2:2 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 1:1 | 1:0 |
| 7 | ჰანოვერი | 1:1 | 2:4 | 1:2 | | 1:1 | | | 5:0 | 0:3 | 2:2 | | 1:1 | 1:0 | 0:0 | 4:2 | 0:2 | 1:1 | |
| 8 | ჰერტა | 2:0 | | 2:2 | 2:3 | | 2:1 | 4:0 | | 2:1 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 1:2 | 2:1 | . | 3:3 | | 2:1 |
| 9 | ალემანია | 0:1 | 2:2 | 2:4 | 1:0 | 2:3 | 1:1 | 1:4 | | | | 1:2 | 2:3 | 2:1 | 3:3 | | 2:1 | 2:0 | 4:2 |
| 10 | ვოლფსბურგი | 2:2 | | 1:1 | 1:0 | 3:2 | 1:1 | 1:2 | 0:0 | 1:2 | | 0:0 | 2:2 | | 1:0 | | 3:1 | | 1:0 |
| 11 | კოტბუსი | 2:4 | | 0:0 | | | 1:1 | 0:1 | 2:0 | 0:2 | | | 0:1 | 2:0 | 2:2 | 2:3 | 0:0 | 2:1 | 3:1 |
| 12 | აინტრახტი | 1:3 | 2:6 | 0:4 | 1:0 | 3:1 | 2:2 | 2:0 | | | 0:0 | | | 0:0 | 2:2 | 1:1 | | 0:3 | 1:0 |
| 13 | მაინცი | | 1:6 | 0:0 | 0:4 | | 2:1 | | 1:1 | 1:3 | 1:2 | 4:1 | 1:1 | | 0:0 | 1:0 | 2:1 | 1:0 | |
| 14 | ჰამბურგი | 1:2 | 1:1 | | 1:2 | 0:0 | 0:0 | 0:0 | 1:1 | | | 1:1 | 3:1 | | | 3:0 | | 1:1 | 1:1 |
| 15 | დორტმუნდი | | | 0:1 | 3:2 | 1:2 | 0:0 | 2:2 | 1:2 | 0:0 | 1:0 | 2:3 | | 1:1 | 1:0 | | 1:1 | 1:1 | 1:0 |
| 16 | ბოხუმი | | 0:6 | | 1:2 | 1:3 | 0:2 | | 2:2 | 0:1 | 0:1 | 4:3 | 0:1 | 2:1 | 2:0 | | | 2:1 | 2:0 |
| 17 | არმინია | 0:1 | | 2:3 | 2:1 | 0:0 | 3:2 | | 2:2 | 5:1 | 0:0 | 3:1 | | 1:0 | 1:1 | | 1:3 | | 0:2 |
| 18 | მიონხენგლადბახი | 0:2 | 2:2 | | | 0:2 | 0:0 | 0:1 | 3:1 | 0:0 | 3:1 | 2:0 | | 1:1 | | 1:0 | | 1:0 | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შალკე | 26 | 16 | 5 | 5 | 42:25 | 53 | 9 | 2 | 2 | 23:10 | 29 | 7 | 3 | 3 | 19:15 | 24 |
| 2 | ვერდერი | 26 | 15 | 5 | 6 | 61:33 | 50 | 9 | 1 | 4 | 28:15 | 28 | 6 | 4 | 2 | 33:18 | 22 |
| 3 | შტუტგარტი | 26 | 13 | 7 | 6 | 43:30 | 46 | 7 | 3 | 2 | 19:10 | 24 | 6 | 4 | 4 | 24:20 | 22 |
| 4 | ბაიერნი | 26 | 13 | 5 | 8 | 39:31 | 44 | 8 | 4 | 1 | 19:9 | 28 | 5 | 1 | 7 | 20:22 | 16 |
| 5 | ლევერკუზენი | 26 | 11 | 6 | 9 | 40:36 | 39 | 6 | 3 | 4 | 22:17 | 21 | 5 | 3 | 5 | 18:19 | 18 |
| 6 | ნიურნბერგი | 26 | 8 | 14 | 4 | 36:24 | 38 | 6 | 6 | 1 | 22:12 | 24 | 2 | 8 | 3 | 14:12 | 14 |
| 7 | ჰანოვერი | 26 | 9 | 8 | 9 | 33:37 | 35 | 3 | 6 | 4 | 19:19 | 15 | 6 | 2 | 5 | 14:18 | 20 |
| 8 | ჰერტა | 26 | 9 | 7 | 10 | 36:42 | 34 | 8 | 2 | 3 | 25:16 | 26 | 1 | 5 | 7 | 11:26 | 8 |
| 9 | ალემანია | 26 | 9 | 6 | 11 | 41:45 | 33 | 5 | 3 | 6 | 25:27 | 18 | 4 | 3 | 5 | 16:18 | 15 |
| 10 | ვოლფსბურგი | 26 | 7 | 11 | 8 | 27:29 | 32 | 5 | 6 | 2 | 17:13 | 21 | 2 | 5 | 6 | 10:16 | 11 |
| 11 | კოტბუსი | 26 | 8 | 7 | 11 | 29:36 | 31 | 4 | 4 | 5 | 16:16 | 16 | 4 | 3 | 6 | 13:20 | 15 |
| 12 | აინტრახტი | 26 | 6 | 12 | 8 | 33:44 | 30 | 4 | 5 | 4 | 15:22 | 17 | 2 | 7 | 4 | 18:22 | 13 |
| 13 | მაინცი | 26 | 7 | 9 | 10 | 23:37 | 30 | 5 | 4 | 4 | 15:20 | 19 | 2 | 5 | 6 | 8:17 | 11 |
| 14 | ჰამბურგი | 26 | 5 | 14 | 7 | 29:27 | 29 | 2 | 8 | 2 | 13:10 | 14 | 3 | 6 | 5 | 16:17 | 15 |
| 15 | დორტმუნდი | 26 | 7 | 8 | 11 | 29:37 | 29 | 4 | 6 | 4 | 15:15 | 18 | 3 | 2 | 7 | 14:22 | 11 |
| 16 | ბოხუმი | 26 | 7 | 6 | 13 | 30:42 | 27 | 5 | 1 | 7 | 16:23 | 16 | 2 | 5 | 6 | 14:19 | 11 |
| 17 | არმინია | 26 | 6 | 8 | 12 | 31:36 | 26 | 5 | 4 | 4 | 20:17 | 19 | 1 | 4 | 8 | 11:19 | 7 |
| 18 | მიონხენგლადბახი | 26 | 6 | 6 | 14 | 21:32 | 24 | 5 | 4 | 3 | 13:10 | 19 | 1 | 2 | 11 | 8:22 | 5 |




# გაიხედეთ წინ!

— 25 წლის ხართ და უკვე „ბარსელონას" ლეგენდარულ მეკარეთა სიაში მოხვდით...

— პრესას უყვარს ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ მე ეს დიდად არ მაფიქრებს. წინ კიდევ მრავალი მატჩია და იმედია, ისე დამიმახსოვრებენ, როგორც გუნდთან ერთად ბევრი ტიტულის მომგებ მეკარეს და არა ჩატარებული თამაშების რაოდენობის მიხედვით.

— ცოტაც და, „ბარსელონასთან" ერთად უკვე მე-200 ოფიციალურ მატჩს გამართავთ...

— იმედია, ხანგრძლივი კარიერა მექნება. მინდა, იგი მთლიანად „ბარსელონას" უკავშირდებოდეს, მაგრამ წინ მართლაც დიდი დროა და გადაჭრით ვერაფერს იტყვი, ამიტომ ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლაა საჭირო.

— ეს თქვენი კარიერის საუკეთესო მომენტია? ახლა ხომ ისე გაფასებენ, როგორც არასდროს...

— ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი კარიერის საუკეთესო მომენტია, წინ კიდევ დიდი დროა. თუმცა ნამდვილად ბრწყინვალე პერიოდია, როგორც პირადად ჩემთვის, ასევე კლუბისთვის. იმედია, წარმატებები მომავალშიც გველის, რაც შეეხებათ ფანებს, მათ სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობდი.

— განსაკუთრებით რაში მოუმატეთ ბოლოხანს?

— ბევრ კომპონენტში, მაგრამ რაღაცების გაუმჯობესება და დახვეწა ისევ მჭირდება. ხუან კარლოს უნსუეს ბევრ რამეში უნდა ვუმადლოდე, იგი კარგად მამზადებდა და ჩემთვის ბევრი გააკეთა. თუმცა მისი მთავარი მიღწევა ჩემთან გაწეული ფსიქოლოგიური სამუშაოა, რამაც ხასიათი შემიცვალა და ბევრი მასწავლა.

— არ გეჩვენებათ, რომ მეკარის როლი თანამედროვე ფეხბურთში იცვლება?

— ფეხბურთი მთელ მსოფლიოში ვითარდება. ახლა მოთამაშეების მომზადების გაცილებით მეტი მეთოდია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ყველაფერი მეკარეებსაც ბევრს აძლევს და საწუწუნო არაფერი გვაქვს. მით უმეტეს, „ბარსელონაში" ყველა პირობაა შექმნილი.

— ესპანეთის თასის ნახევარფინალში „ხეტაფესთან" გიწევთ დაპირისპირება. ეს ერთადერთი მნიშვნელოვანი ტურნირია, რომელიც თანამედროვე „ბარსას" არ მოუგია...

— „ხეტაფე" ბრწყინვალე სეზონს ატარებს და ორივე მატჩი ძალიან მძიმე იქნება. პირველი შეხვედრა შინ გვაქვს და კარგი შედეგის მიღწევა აუცილებელია. ქვეყნის თასი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ვთვლი, რომ მისი მოგება შეგვიძლია. თუ ეს და პრიმერადივიზიონში პირველ ადგილზე გასვლა მოვახერხეთ, ბრწყინვალე იქნება.

— თუმცა თასის მატჩებში კარში ალბერტ ხორკერა დგას. ძნელია თამაშის სათადარიგოთა სკამიდან ყურება?

— გრძნობები იგივეა. განსაკუთრებით მაშინ, თუ შენი გუნდი ვერ იგებს. მეკარეები მაშინაც ძალიან განიცდიან ყველაფერს, როცა მინდორზე არიან და მაშინაც, როცა სკამზე ზიან.

— „ბარსელონას" ტაქტიკაზე ბევრს ლაპარაკობენ. თვლით, რომ ეს მართლაც დიდ გავლენას ახდენს შედეგებზე?

— ჩემი აზრით, 3-4-3, რომელიც პირველად „სარაგოსასთან" გამოვცადეთ, საინტერესო ტაქტიკაა, ასე ხომ „დრიმ თიმი" თამაშობდა. ეს სქემა განსაკუთრებით ეფექტური მაშინ არის, როცა ბურთის დაჭერა გამოგდის. ისე, როგორც წესი, ფრანკ რაიკარდის ხელში 4-3-3-ით ვთამაშობთ.

— ტაქტიკა პირადად თქვენს თამაშზეც ახდენს გავლენას?

— რასაკვირველია. 3-4-3-ის დროს დაცვა საჯარიმო მოედანთან უფრო ახლოს თამაშობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მცველებსა და მეკარეს შორის მანძილი მოკლდება, 4-3-3-ის შემთხვევაში კი ეს მანძილი უფრო დიდია.

— სეზონი დასასრულს უახლოვდება და ინტრიგა პრიმერადივიზიონში ისევ დიდია — ჩემპიონობისთვის ოთხი გუნდი იბრძვის.

— ჩემპიონატის ბედი ჩვენს ხელშია. მეტოქეებთან შედარებით უფრო იოლი კალენდარი გვაქვს და წინა სეზონის დარად, ნელ-ნელა, მშვიდად და თავდაჯერებულად უნდა წავიდეთ წინ.

— ბოლო წლების გამოცდილება, წესით, უნდა დაგეხმაროთ...

— ნებისმიერ გუნდს შეუძლია, პრობლემები შეგვიქმნას. მით უმეტეს, ბოლო ტურებში ყველა თითქმის თანაბარ მდგომარეობაშია. ზოგჯერ გგონია, რომ იოლად უნდა მოიგო, მაგრამ... მიმდინარე სეზონში ბევრი სიურპრიზი იყო, თუმც ვიმეორებ, ყველაფერი ჩვენს ხელშია.

— სტუმრად თითქმის ოთხი თვე ვერ იგებდით, მაგრამ პირველი ადგილი მაინც შეინარჩუნეთ. ეს ალბათ ჩემპიონატის დაძაბულობაზე მეტყველებს, ანუ იოლი მატჩები არავის აქვს...

— შესაძლოა. როცა ვერ იგებ, კრიტიკას უნდა ელოდო, ეს ლოგიკურია, ჩვენგან ხომ ბევრს ელიან. „უელვასთან" მატჩი ჩვენთვის კარგად აეწყო და საჭირო 3 ქულა მოვიპოვეთ. ეს რამდენიმედღიანი პაუზაც სასიკეთოდ წაგვადგა.

— თქვენს უშუალო კონკურენტებს ურთიერთშეხვედრები ელით. ეს უპირატესობას გაძლევთ?

— ჩვენი უპირატესობა ის იქნება, თუ საკუთარი მატჩების მოგებას გავაგრძელებთ. დიახ, ჩვენს უშუალო კონკურენტებს ურთიერთშეხვედრა ელით, მაგრამ პარალელურად „ბარსელონამ" თავისი თამაში უნდა მოიგოს, რაც ადვილი არ იქნება. თეორიულად უპირატესობა გვაქვს, მაგრამ ვნახოთ, რა მოხდება...

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბარსელონა | : | დეპორტივო |
| ბეტისი | : | ვილიარეალი |
| სოსიედადი | : | ლევანტე |
| ვალენსია | : | ესპანიოლი |
| **ხვალ** | | |
| ხეტაფე | : | სარაგოსა |
| ხიმნასტიკი | : | უელვა |
| სელტა | : | რეალი |
| ოსასუნა | : | ვალენსია |
| რასინგი | : | ბილბაო |
| ატლეტიკო | : | მალიორკა |

## ესპანეთი

# რეალის სურვილების ტვირთი: ყველა!

**28-ე ტურში** „ბეტისი" „ვილიარეალს" „გადასახლებაში" უმასპინძლებს — „რუის დე ლოპერა" იქაურ ინჩასთა მხეცობის გამო დისკვალიფიცირებულია და „მწვანეებიც" მეტოქეს „ლა კარტუხაზე" მიიღებენ. „ბეტისი" სეგუნდაში გასავარდნ პოზიციებს 5 ქულით უსწრებს და ლიგაში დასარჩენად ბრძოლა მართებს. ანდალუზიელებს არსუ და ფოგელი გამოუჯანმრთელდათ, „ვილიას" კი დისკვალიფიცირებული ჩანი დააკლდება.

„სოსიედადი" პრიმერას აუტსაიდერია და თუ „ლევანტეს" მოუგო, სეგუნდაში ჩაყუდების საფრთხეს დროებით გადაავადებს.

ბასკებს ვალენსიელებთან ჯახში დისკვალიფიკაციამოხდილი კლაუდიო ბრავო და მიჩელ გონსალესი დაუბრუნდებიან. დელიბორ სტევანოვიჩმა და მიკელ ლაბაკამაც მოირჩინეს ტრავმები და თამაშს მოახერხებენ.

დღეს „ვალენსიას" „ესპანიოლთან" ტრავმირებული ფერნანდო მორიენტესი არ ეყოლება. „ელ მორომ" ესპანეთ — ისლანდიის სანაკრებო მატჩში კარის ძელს შეალეწა მხარი და ფეხბურთს კარგა ხნით გამოეთიშა.

შაბათს „ბარსელონას" „დეპორტივოსთან" დეკუ დააკლდება — პორტუგალიელი დასჯილია. ყვითლებმა გალისიელებიც დააზარალა — ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს არისმენდის ვერ დაიხმარენ.

მადრიდის „ატლეტიკოს" საევროტურნირო პოზიციების შენარჩუნება უნდა, არც საჩემპიონთალიგო ადგილზე მოხვედრაზე იტყვის უარს და კვირას „მალიორკასთანაც" ამ მიზნით იბრძოლებს.

„მალიორკას" ვერ დაეხმარება დაჯარიმებული ვარელა და ტრავმირებული იანკოვიჩი.

„ხეტაფე" „სარაგოსასთან" სელესტინის და კონტრას მოისაკლისებს, არაგონელთა მხრიდან კი ევერტონის ბურთაობაა საეჭვო.

„ხიმნასტიკი" ცდილობს, „რეალთან" წაგება დაივიწყოს და „უელვას" მხნედ დახვდეს. ტარაგონელებს დაჯარიმებული სეზარ ნავასი და დავიდ გარსია გამოაკლდებიან.

ევროპოზიციებს ოდენ სამი ქულით ჩამორჩება „რასინგი". სანტანდერელებს „ბილბაოსთან" ჯახში დისკვალიფიცირებული სკალონი არ ეყოლებათ. სეგუნდასთან სახიფათოდ მიახლოვებულ ბასკებს კი ადურისი და სარიეგი გამოაკლდებიან.

„ესტადიო ბალაიდოსზე" „სელტა" „რეალს" მასპინძლობს. ვიგოელები გასავარდნ ზონას 1 ქულის ინტერვალზე მიუახლოვდნენ და დროულად უნდა გამოფხიზლდნენ. „რეალს" კი წლეულს ჩემპიონობა დაუგეგმავს და პრიმერას დარჩენილი მატჩებიდან ყველა ფინალად უღირს.

„სელტას" დაჯარიმებული კანობიო არ ეყოლება, „რეალს" კი ტრავმირებული რობერტო კარლოსი, რაულ ბრავო, დევიდ ბეკემი და დისკვალიფიცირებული კანავარო.

„ოსასუნას" პუნიალი და ხოსეჩო ჰყავს ლაზარეთში, კუელარი და სოლდადო კი დაჯარიმებულნი არიან. შესაძლოა, დანი ალვეში გამოაკლდეს ნავარელთა მეტოქე „სევილიას" — ბრაზილიელს მუხლი ბოლომდე არ მოურჩენია.

ანდალუზიელები ჩემპიონობისთვის იბრძვიან და მათთან შერკინებაში „ოსასუნას" ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | | 3:1 | 3:3 | 1:1 | 3:1 | 1:1 | 3:0 | 2:0 | | | 4:0 | | 3:0 | | | | 3:1 | 3:0 | 3:0 | 1:0 | 27 | 15 | 8 | 4 | 57:25 | 53 | 10 | 3 | 0 | 33:8 | 33 | 5 | 5 | 4 | 24:17 | 20 |
| 2 | სევილია | 2:1 | | 2:1 | 3:0 | | 3:1 | | | 1:0 | | | 4:0 | 2:0 | 1:2 | 3:2 | 4:0 | 2:0 | | 2:1 | 0:0 | 27 | 16 | 5 | 6 | 48:24 | 53 | 11 | 1 | 1 | 29:8 | 34 | 5 | 4 | 5 | 19:16 | 19 |
| 3 | რეალი | 2:0 | | | | 1:0 | 1:1 | 0:3 | 3:1 | 1:1 | | 0:0 | | | | 0:0 | 0:1 | 1:2 | 2:1 | 2:0 | 2:0 | 27 | 14 | 6 | 7 | 37:24 | 48 | 6 | 4 | 3 | 15:10 | 22 | 8 | 2 | 4 | 22:14 | 26 |
| 4 | ვალენსია | 2:1 | | 0:1 | | | 3:1 | | 0:2 | 2:0 | | | 4:0 | 1:0 | 3:1 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 1:1 | 4:0 | | 27 | 14 | 5 | 8 | 37:26 | 47 | 10 | 1 | 2 | 26:8 | 31 | 4 | 4 | 6 | 11:18 | 16 |
| 5 | სარაგოსა | | 2:1 | | 0:1 | | 1:0 | 0:0 | | 3:1 | 3:0 | 1:0 | 1:1 | 1:2 | 2:0 | 2:1 | 2:2 | | | 3:0 | 3:2 | 27 | 13 | 7 | 7 | 40:27 | 46 | 9 | 3 | 2 | 24:11 | 30 | 4 | 4 | 5 | 16:16 | 16 |
| 6 | ატლეტიკო | | 2:1 | 1:1 | 0:1 | 0:1 | | 2:1 | 1:1 | 1:0 | 1:2 | 3:1 | 2:0 | 1:0 | | | | | 1:0 | 0:0 | 1:1 | 27 | 12 | 7 | 8 | 32:23 | 43 | 7 | 4 | 3 | 16:10 | 25 | 5 | 3 | 5 | 16:13 | 18 |
| 7 | უელვა | 0:4 | 1:3 | | 2:0 | | 1:0 | | | 1:2 | | 2:1 | 1:1 | 2:0 | 1:1 | 2:0 | 0:1 | | | 2:1 | 1:0 | 27 | 12 | 5 | 10 | 35:35 | 41 | 7 | 2 | 4 | 16:14 | 23 | 5 | 3 | 6 | 19:21 | 18 |
| 8 | რასინგი | 0:3 | 0:0 | | 1:0 | 0:2 | 0:1 | 4:3 | | 1:0 | 1:1 | 2:1 | | 1:0 | | | | 1:1 | | 4:1 | 1:0 | 27 | 10 | 10 | 7 | 30:30 | 40 | 7 | 3 | 3 | 16:13 | 24 | 3 | 7 | 4 | 14:17 | 16 |
| 9 | ხეტაფე | 1:1 | 0:0 | 1:0 | 3:0 | | | 1:1 | 1:0 | | 0:1 | | 2:0 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 0:0 | | | 27 | 10 | 8 | 9 | 23:19 | 38 | 7 | 6 | 1 | 14:4 | 27 | 3 | 2 | 8 | 9:15 | 11 |
| 10 | ესპანიოლი | 3:1 | 2:1 | 0:1 | 1:1 | 1:2 | | 0:1 | 2:2 | | | 1:1 | | 0:0 | 3:1 | | 1:1 | 2:1 | 3:2 | 0:1 | | 27 | 9 | 11 | 7 | 29:28 | 38 | 5 | 5 | 4 | 19:16 | 20 | 4 | 6 | 3 | 10:12 | 18 |
| 11 | ვილიარეალი | | 0:0 | 1:0 | 0:1 | 3:2 | | 0:1 | | 1:0 | 0:0 | | 0:2 | 1:4 | 2:1 | 3:2 | 1:1 | | | 2:0 | 1:1 | 27 | 10 | 7 | 10 | 26:32 | 37 | 6 | 4 | 4 | 15:15 | 22 | 4 | 3 | 6 | 11:17 | 15 |
| 12 | დეპორტივო | 1:1 | | 2:0 | | 3:2 | 1:0 | | 0:0 | 1:0 | 0:0 | 2:0 | | | 1:0 | 0:1 | 0:0 | 0:1 | 0:2 | | 2:0 | 27 | 9 | 9 | 9 | 20:28 | 36 | 7 | 4 | 3 | 13:7 | 25 | 2 | 5 | 6 | 7:21 | 11 |
| 13 | ოსასუნა | 0:0 | | 1:4 | 1:1 | | | | 0:1 | 0:2 | 0:2 | | 4:1 | | 3:0 | 5:1 | 2:1 | 0:1 | 1:1 | 2:0 | | 27 | 10 | 4 | 13 | 34:33 | 34 | 5 | 3 | 5 | 19:15 | 18 | 5 | 1 | 8 | 15:18 | 16 |
| 14 | მალიორკა | 1:4 | | 0:1 | | 2:1 | 0:0 | 2:1 | 1:2 | | 1:0 | 1:2 | 0:0 | | | 2:0 | 3:1 | 2:2 | 1:3 | | 0:0 | 27 | 9 | 5 | 13 | 28:39 | 32 | 5 | 4 | 5 | 16:17 | 19 | 4 | 1 | 8 | 12:22 | 13 |
| 15 | ბეტისი | 1:1 | 0:0 | 0:1 | 2:1 | 1:1 | 0:1 | 0:0 | 1:1 | | 1:1 | | 1:1 | | 0:1 | | 2:1 | 1:0 | 3:0 | | | 27 | 7 | 10 | 10 | 25:31 | 31 | 4 | 7 | 3 | 13:10 | 19 | 3 | 3 | 7 | 12:21 | 12 |
| 16 | ლევანტე | 1:1 | 2:4 | 1:4 | | 0:0 | 0:3 | 2:1 | 2:0 | | 0:0 | 0:2 | 2:0 | | 0:1 | | | 1:1 | 0:0 | | 2:0 | 27 | 6 | 10 | 11 | 23:37 | 28 | 4 | 5 | 5 | 13:17 | 17 | 2 | 5 | 6 | 10:20 | 11 |
| 17 | სელტა | 2:3 | 1:2 | | 3:2 | 1:1 | 1:3 | 1:2 | 2:2 | | 0:2 | 1:1 | | 0:2 | | | | | 1:1 | 1:1 | 0:0 | 27 | 6 | 9 | 12 | 27:38 | 27 | 1 | 6 | 6 | 14:22 | 9 | 5 | 3 | 6 | 13:16 | 18 |
| 18 | ბილბაო | 1:3 | 1:3 | | | 0:0 | 1:4 | 4:2 | 0:0 | 2:0 | | 0:1 | | 0:3 | | 1:2 | | 0:1 | | 0:2 | 1:1 | 27 | 6 | 8 | 13 | 27:40 | 26 | 2 | 3 | 8 | 11:22 | 9 | 4 | 5 | 5 | 16:18 | 17 |
| 19 | ხიმნასტიკი | | 1:0 | 1:3 | 1:1 | | | | 2:2 | 1:3 | 4:0 | | 0:0 | 2:3 | 2:3 | 0:1 | 2:1 | 1:2 | 2:3 | | | 27 | 5 | 5 | 17 | 28:50 | 20 | 3 | 3 | 7 | 19:22 | 12 | 2 | 2 | 10 | 9:28 | 8 |
| 20 | სოსიედადი | | 1:3 | 1:2 | 0:1 | 1:3 | | 2:3 | | 0:0 | 1:1 | 0:1 | 0:1 | 2:1 | 3:1 | 0:0 | | | 0:2 | 3:2 | | 27 | 3 | 9 | 15 | 19:36 | 18 | 3 | 3 | 8 | 14:21 | 12 | 0 | 6 | 7 | 5:15 | 6 |

# არც მე მივდივარ, არც პიპო



„მილანის“ მთავარ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ბოლოხანს აქტიურად უკავშირებდნენ „სკუადრა აძურას“ თავკაცის პოსტს. აქაოდა, რობერტო დონადონის მუშაობა არადამაკმაყოფილებელია და ზაფხულში მას შეცვლიანო.

თავად „კარლიტომ“ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ეროვნული ნაკრების გაწვრთნაზე ოცნებობს, მაგრამ ახლა მხოლოდ „მილანზეა“ კონცენტრირებული და დონადონის სანერვიულო არაფერი აქვს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ანჩელოტი და დონადონი არიგო საკის დიდ „მილანში“ ერთად თამაშობდნენ.

„დონადონისთვის ასახსნელი არაფერი მაქვს. მას რამდენიმე დღის წინ უკვე ველაპარაკე. „სკუადრა აძურას“ მწვრთნელობას არ ვაპირებ, ახლა მხოლოდ „მილანზე“ ვფიქრობ. რობერტო ჩემი მეგობარია და არაფერი აქვს მისთვის ასახსნელი ან სანერვიულო. მით უმეტეს, შოტლანდიასთან ბრწყინვალე თამაშისა და საჭირო 3 ქულის მოპოვების შემდეგ. თუმცა ყველა იტალიელი მწვრთნელი ოცნებობს ეროვნული ნაკრების თავკაცობაზე და მათ შორის, მეც. რობერტო კი ნამდვილი ჩემპიონი და პროფესიონალია. და, რაც მთავარია, იგი ჩემი მეგობარია“ — თქვა ანჩელოტიმ.

აქვე ვთქვათ, რომ „მილანის“ ვეტერანმა ფორვარდმა ფილიპო ინძაგიმ უარყო ხმები, თითქოს კლუბის გამოცვლას აპირებდეს.

მოგეხსენებათ, პიპო ამ სეზონში იშვიათად ხვდება ძირითად შემადგენლობაში. ბოლო დროს ანჩელოტი უპირატესობას რონალდო-ოლივერას ბრაზილიურ დუეტს ანიჭებს. ჯილარდინოსა და ინძაგის კი სათადარიგოთა სკამზე უწევთ ჯდომა.

„კლუბის ხელმძღვანელობასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მაქვს და გუნდის გამოცვლაზე არც ვფიქრობ. მით უმეტეს, რომ ყველა მხრიდან მხარდაჭერას ვგრძნობ. მინდა, კარიერა „მილანში“ დავასრულო და, იმედია, ასეც იქნება“ — თქვა ინძაგიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

# თასები დაფასდება

## უეფა ლიგაში პატარებს ეპატიჟება

**ქვეყნის** თასის მომგებმა გუნდმა მომავალში, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს. ამჟამად უეფაში ის პროექტი განიხილება, რომლის მიხედვითაც, მეთასეებმა ევებ სეზონის ბოლოს საპლეიოფო წყვილები შექმნან და გამარჯვებულები ლიგაში აღმოჩნდნენ. ჯერჯერობით დაზუსტებული არაა, რა და როგორ იქნება. არც ისაა გამორიცხული, ერთ-ერთი ქვეყნის თასზე გამარჯვებული პირდაპირ ჩასვან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში.

„ამ საკითხზე ვიმსჯელეთ და მომავალშიც გავაგრძელებთ — თქვა უეფას წარმომადგენელმა უილიამ გალიარდმა — გვსურს, სათასო ტურნირი გავაცოცხლოთ და ინტერესი შევმატოთ.“

ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისკენ გზა ცხრილში მომდევნოს გაეხსნება. ხოლო თასის მომგები თუ ზედა სამეულში ვერ მოხვდება, მაინც ითამაშებს ლიგის საკვალიფიკაციოზე, ხოლო ცხრილში მესამეს ან მეოთხეს უეფას თასზე გადანაცვლება მოუწევს.

ამრიგად, პატარა გუნდებს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი ექნებათ და სათასო შეჯიბრიც დაფასდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შეეშვით როზინას!

**„ტორინოს“** პრეზიდენტმა გააფრთხილა სერია A-ს გუნდები, რომ ფორვარდი ალესანდრო როზინა არ იყიდება. [illegible] სწრაფით თვალი მოსჭრა მთელ იტალიას და [illegible]

„მისი გაყიდვა გამორიცხულია. მას [illegible] და მუდამ ბოლომდე იხარჯება“ — თქვა პრეზიდენტმა ურბანო კაირომ.

# კონტრაქტი არ წყვიტა

**პორტუგალიური** „რიუ ავეს“ 20 წლის ფორვარდმა ბრუნო კონტრაუმ „ბენფიკასთან“ ექვსწლიანი წინასწარი კონტრაქტი გააფორმა. ბენფიკელებმა კონტრაუსთვის ბრძოლაში თანაქალაქელ „სპორტინგს“ აჯობეს, რომელიც ფეხბურთელის გადაბირებას ზაფხულში აპირებდა.

# მარსელი შალკესთვის

**გელზენკირხენის** „შალკე“ მარსელ იანსენისთვის ბრძოლაში ჩაერთო — წერს „ბილდი“. მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მარცხენა მცველს კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს და მისი ფასი დაახლოებით 12 მილიონი ევროა. „ბორუსია“ გავარდნის პირასაა და იანსენი ალბათ არ ისურვებს მეორე ბუნდესლიგაში ჩაქვეითებას. მისი შეძენა „ბაიერნს“, „ვერდერსა“ და „შტუტგარტსაც“ სურთ.

# ვნახოთ მახო

**„კაიზერსლაუტერნის“** ავსტრიელ მეკარე იურგენ მახოს ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი აკვირდება. მის სანახავად ფრანგი საფრანგეთი — ავსტრიის ამხანაგურ მატჩს დაესწრო.

მახოს ადრე „სანდერლენდში“ უთამაშია. გარდა ამისა, ვენგერს „მონაკოს“ ფორვარდი ფრედერიკ პიკიონი მოსწონებია, რომლის დებიუტიც ავსტრიასთან შეხვედრაში შედგა.

# პრსო მუხლმა დაამთავრა

**გლაზგოს** „რეინჯერსის“ ხორვატი ფორვარდი სეზონის ბოლოს გუნდიდან წავა. მუხლის ტრავმით გატანჯულ 32 წლის პრსოს ექიმმა უთხრა, რომ საქმე უკეთესობისკენ არ მიდის და მაღალ დონეზე თამაშს ველარ შეძლებს. ხორვატმა კი „რეინჯერსის“ ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ამიტომ გადაწყვიტა კლუბის დატოვება.

# გადავუაროთ!

**სტივ მაკლარენმა** ინგლისის ნაკრების ავტობუსის მძღოლს სთხოვა, ანდორელებთან მოგების შემდეგ „დეილი სტარის“ კორესპონდენტი ბრაიან ვულნაფი გაეჭყლიტა.

მწვრთნელმა, ცხადია, იხუმრა, რაზეც ვულნაფმა ხუმრობითვე უპასუხა, საჭესთან მაკლარენი რომ მჯდარიყო, ამაცილებდაო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| XXX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რეჯინა | : | სიენა |
| რომა | : | მილანი |
| **ხვალ** | | |
| ემპოლი | : | ასკოლი |
| ლივორნო | : | კატანია |
| ატალანტა | : | ფიორენტინა |
| უდინეზე | : | ლაციო |
| კალიარი | : | მესინა |
| ტორინო | : | პალერმო |
| ინტერი | : | პარმა |
| კიევო | : | სამპდორია |

# იტალია

# მილანის მოგება ლაციოს მოგებაა

**ტურის** მთავარი მატჩი „სტადიო ოლიმპიკოზეა“ — „რომა“ „მილანს“ მასპინძლობს. ორივე გუნდს ცალი თვალი ჩემპიონთა ლიგაზე უჭირავს და ეს ბუნებრივიცაა. ლაპარაკი მეოთხედფინალზე და ისეთ მეტოქეებზეა, როგორებიც „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მიუნხენის „ბაიერნი“ არიან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ამ შეხვედრას ზერელედ მოეკიდებიან. ქულები პირველ რიგში „როსონერის“ სჭირდება, რომელიც ოთხეულისთვის იბრძვის.

„ხუთი წელი გავატარე „ლაციოში“ და „რომა“ ჩემთვის ყოველთვის პრინციპულ მეტოქედ დარჩება. გარდა ამისა, ამ შეხვედრაში წარმატება ძალიან გვჭირდება და ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვეძლება. ძლიერ მეტოქეს ვხვდებით და გაგვიჭირდება, მაგრამ თუ მოვიგებთ, ეს ჩვენც მოგვცემს ხელს და „ლაციოსაც“ შანსი ექნება, „რომასთან“ სხვაობა შეამციროს“ — აღნიშნა „ლაციოს“ ყოფილმა კაპიტანმა მასიმო ოდომ.

ლუჩანო სპალეტის, ფაქტობრივად, უძლიერესი შემადგენლობა ჰყავს. ერთი მატეო ფერარი არ იქნება და უკვე დიდი ხანია, ლაზარეთში არიან ალბერტო აკილანი და ფილბერტო მარტინესი.

რაც შეეხება „მილანს“, ვეტერანი კაპიტნის პაოლო მალდინის თამაშის შანსი ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. არ იქნებიან კახა კალაძე და დანიელე ბონერა.

ერთპიროვნული ლიდერი „ინტერი“ „პარმას“ მასპინძლობს, რომელსაც ქულები ჰაერივით სჭირდება. „ენიო ტარდინიზე“ კლაუდიო რანიერის მისვლამ პარმელთა თამაში ცოტა კი გამოასწორა, მაგრამ გუნდს კიდევ დიდი ბრძოლა ელის, რათა სერია A-ში დარჩენა გაინაღდოს.

დისკვალიფიკაციის გამო „ინტერს“ ზლატან იბრაჰიმოვიჩი არ ეყოლება. რობერტო მანჩინი ვერც ოლივიე დაკურს, ფაბიო გროსოს, ვალტერ სამუელსა და პატრიკ ვიეირას დაიხმარს. ესტებან კამბიასოს თამაში კი სათუოა.

„პარმა“ ფერდინანდ კოლის და მატეო კონტინის მოისაკლისებს.

საინტერესო მატჩია „ფრიულიზე“: „უდინეზე“ — „ლაციო“.

დედაქალაქელები ბრწყინვალე ფორმაში არიან, 11 მატჩია, არ წაუგიათ. მესამე ადგილზე მყოფი „ბიანკოჩელესტი“ მორიგი გამარჯვების მოპოვებას ეცდება, მით უმეტეს, რომ ბოლო ორი სეზონია, უდინეში 0:3 მარცხდება. თავის მხრივ, რევანში აქვთ ასაღები ალბერტო მალესანის შეგირდებსაც, რომლებმაც პირველ წრეში „ლაციოსთან“ 0:5 წააგეს.

„ლაციოს“ გაბი მუდინგაი, ფაბიო ფირმანი და ემილსონ კრიბარი არ ეყოლება, „უდინეზეს“ კი ვინჩენცო იაკინტა, ჩეზარე დი ნატალი, დიას ფელიპე და კრისტიან ძნონი დააკლდებიან.

ბოლო დროს, ჯანი დე ბიაზის მწვრთნელად დაბრუნების შემდეგ, მოყოჩაღებული „ტორინო“ „პალერმოს“ მასპინძლობს. სიცილიელებს შვიდი მატჩია, არ მოუგიათ და სადაცაა, ოთხეულში ადგილს დაკარგავენ.

მეორე წრეში „პალერმოს“ არ უმართლებს. ჯერ ლიდერმა და მთავარმეგოლე ამაურიმ მიიღო სერიოზული ტრავმა, ახლა კი ჩინებულად ათამაშებული ურუგვაელი ედისონ კავანიც დაშავდა. არ იქნებიან ჩირო კაპუანო და რობერტო გუანაც.

„ტოროს“ არ ეყოლება ექსპალერმოელი სიმონე ბარონე. სათუოა ჯუზეპე პანკაროსა და კლაუდიო დე სოუზას თამაში...

ბოლო მატჩებში აურია „ატალანტამაც“ და მწვრთნელ სტეფანო კოლანტუონოს წასვლაზეც ალაპარაკდნენ, თუმცა ბარგამოელთა პრეზიდენტმა ივან რუჯერიმ აღნიშნა, კოლანტუონის ბოლომდე ვენდობი, ხოლო თუ ვინმე მისი გადაბირებითაა დაინტერესებული, ჯერ მე დამელაპარაკოსო.

„ატალანტა“ „ფიორენტინას“ მასპინძლობს, რომელიც ყველანაირად ცდილობს ოთხეულში შეჭრას.

„იებს“ დისკვალიფიცირებული დარიო დაინელი და ადრიან მუტუ არ ეყოლებათ. მასპინძლებს ჯულიო მილაჩო დააკლდებათ.

შესაძლოა, ბერგამოელთა რიგებში ვეტერანი კრისტიან ვიერის ნანატრი დებიუტი შედგეს — „ბობომ“ ტრავმა ბოლომდე მოიშუშა და ორმხრივ თამაშში გოლიც გაიტანა.

ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელი „ემპოლი“ ბოლოადგილოსან „ასკოლის“ მასპინძლობს. ქულები ორივე გუნდს ძალიან სჭირდება და კარგ მატჩს უნდა ველოდოთ.

ექვსქულიანი მატჩებია აუტსაიდერებს, „კალიარი“ — „მესინასა“ და „რეჯინა“ — „სიენას“ შორის.

**გიორგი ძაძამიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 28 | 24 | 4 | 0 | 61:23 | 76 |
| რომა | 28 | 17 | 7 | 4 | 55:22 | 58 |
| ლაციო | 28 | 15 | 7 | 6 | 47:22 | 49 |
| პალერმო | 29 | 13 | 8 | 8 | 43:34 | 47 |
| მილანი | 28 | 14 | 9 | 5 | 38:24 | 43 |
| ემპოლი | 28 | 11 | 9 | 8 | 28:27 | 42 |
| ფიორენტინა | 28 | 15 | 7 | 6 | 45:24 | 37 |
| სამპდორია | 28 | 9 | 8 | 11 | 35:35 | 35 |
| უდინეზე | 28 | 9 | 8 | 11 | 34:37 | 35 |
| ატალანტა | 28 | 7 | 11 | 10 | 40:40 | 32 |
| კატანია | 29 | 8 | 8 | 13 | 36:54 | 32 |
| ტორინო | 28 | 8 | 7 | 13 | 24:39 | 31 |
| ლივორნო | 28 | 6 | 11 | 11 | 27:43 | 29 |
| კიევო | 28 | 6 | 9 | 13 | 31:39 | 27 |
| სიენა | 28 | 5 | 13 | 10 | 24:32 | 27 |
| კალიარი | 28 | 5 | 12 | 11 | 21:32 | 27 |
| რეჯინა | 28 | 9 | 9 | 10 | 38:40 | 25 |
| მესინა | 28 | 5 | 9 | 14 | 28:46 | 24 |
| პარმა | 28 | 4 | 10 | 14 | 24:46 | 22 |
| ასკოლი | 28 | 3 | 10 | 15 | 21:41 | 19 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

# სარბიელი და კროსი

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 15:45 | 1 | ლივერპული-არსენალი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 2 | ბოლტონი-შეფილდი | 1.60 | 3.40 | 6.20 | 1.08 | 1.27 | 2.19 |
| 18:00 | 3 | ჩარლტონი-უიგანი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 4 | ფულჰემი-პორტსმუთი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 18:00 | 5 | მანჩესტერი-ბლეკბერნი | 1.30 | 4.80 | 10.00 | 1.02 | 1.15 | 3.24 |
| 18:00 | 6 | მანჩესტერი-ბლეკბერნი 0:1 | 1.90 | 3.50 | 2.90 | | | |
| 18:00 | 7 | ნიუკასლი-სიტი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 8 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 20:15 | 9 | უოტფორდი-ჩელსი | 9.00 | 4.50 | 1.32 | 3.00 | 1.15 | 1.02 |
| 20:15 | 10 | უოტფორდი-ჩელსი 1:0 | 2.85 | 3.50 | 1.95 | | | |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 11 | ტოტენჰემი-რედინგი | 1.70 | 3.30 | 5.20 | 1.12 | 1.28 | 2.01 |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 12 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2.50 | 3.20 | 2.75 | 1.40 | 1.30 | 1.47 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 13 | ბარნსლი-დერბი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:00 | 14 | ბარნლი-ლუტონი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 15 | კარდიფი-სანდერლენდი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 18:00 | 16 | კოლჩესტერი-ნორვიჩი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 17 | კრისტალ პალასი-უენსდი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 18 | ჰალი-საუთენდი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 18:00 | 19 | იფსვიჩი-პლიმუთი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 21 | ქპრ-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:00 | 22 | სტოკი-ლესტერი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 18:00 | 23 | ვულვზი-საუთჰემპტონი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 24 | ბირმინგემი-ქოვენტრი | 1.55 | 3.50 | 6.30 | 1.07 | 1.24 | 2.25 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 27 | ბლეკპული-ქრიუ | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 18:00 | 28 | ბრისტოლი-ნოტინგემი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 29 | ჩელტენჰემი-ლეიტონი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 30 | ჯილინგემი-ბრენტფორდი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 31 | ბრედფორდი-პორტ ვეილი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 32 | მილუოლი-სუონსი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 33 | ნორთჰემპტონი-ბრაიტონი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 18:00 | 34 | ოლდემი-იოვილი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 35 | როტერჰემი-ბორნმუთი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 36 | სკანთორპი-ბრედფორდი | 1.50 | 3.70 | 6.00 | 1.06 | 1.20 | 2.28 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 40 | ბარნეტი-დარლინგტონი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 18:00 | 41 | ბოსტონი-ბერი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 42 | ჰერეფორდი-დონსი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 18:00 | 43 | ნოტსი-გრიმსბი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 18:00 | 44 | პიტერბორო-უიკომბი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 18:00 | 45 | როჩდეილი-ლინკოლნი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 46 | სუინდონი-შრუსბერი | 1.80 | 3.40 | 4.00 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 18:00 | 47 | ტორკი-სტოკპორტი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 18:00 | 48 | უოლსოლი-აკრინგტონი | 1.50 | 3.50 | 6.70 | 1.04 | 1.22 | 2.29 |
| 18:00 | 49 | რექსემი-მენსფილდი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 61 | ალდერშოტი-სტალბანსი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 18:00 | 62 | ალტრინჰემი-ექსეტერი | 2.55 | 3.30 | 2.40 | 1.43 | 1.23 | 1.38 |
| 18:00 | 63 | კემბრიჯი-ვეიმუთი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 64 | ქროული-სტივენიჯი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 18:00 | 65 | ფორესტ გრინი-რაშდენი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 18:00 | 66 | გრეისი-ჰალიფაქსი | 2.30 | 3.30 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.50 |
| 18:00 | 67 | კიდერმინსტერი-ნორთვიჩი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 18:00 | 68 | მორიკემბი-უოკინგი | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 18:00 | 69 | ოქსფორდი-ბარტონი | 1.85 | 3.30 | 3.85 | 1.18 | 1.24 | 1.77 |
| 18:00 | 70 | საუთპორტი-სტ.რეინჯერსი | 2.50 | 3.30 | 2.45 | 1.42 | 1.23 | 1.40 |
| 18:00 | 71 | ტემუორთი-დაგ ენდ რედი | 3.85 | 3.30 | 1.85 | 1.77 | 1.24 | 1.18 |
| 18:00 | 72 | იორკი-გრეივსენდი | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 15:30 | 73 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 6.50 | 3.80 | 1.45 | 2.39 | 1.18 | 1.04 |
| 15:30 | 74 | დანდი იუნ.-სელტიკი 1:0 | 2.25 | 3.40 | 2.50 | | | |
| 18:00 | 75 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 18:00 | 76 | კილმარნოკი-აბერდინი | 2.60 | 3.40 | 2.30 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 77 | მაზერუელი-დანფერმლაინი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 78 | რეინჯერსი-ინვერნესი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 18:00 | 79 | რეინჯერსი-ინვერნესი 0:1 | 1.65 | 3.80 | 3.70 | | | |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 80 | ჰიბერნიანი-ჰარტსი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 81 | კლაიდი-ქუინი | 2.20 | 3.40 | 2.75 | 1.33 | 1.22 | 1.52 |
| 18:00 | 83 | გრეტნა-პარტიკი | 1.30 | 4.30 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 2.90 |
| 18:00 | 84 | ჰამილტონი-როსი | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 18:00 | 85 | სტ.ჯონსტონი-ლივინგსტონი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 18:00 | 82 | დანდი-ეირდრი | 1.85 | 3.40 | 3.60 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 86 | ალოა-ბრეჩინი | 2.45 | 3.30 | 2.50 | 1.40 | 1.23 | 1.42 |
| 18:00 | 87 | ფორფარი-სტირლინგი | 7.50 | 4.10 | 1.35 | 2.65 | 1.14 | 1.01 |
| 18:00 | 88 | მორტონი-კოუდენბითი | 1.40 | 3.90 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.50 |
| 18:00 | 89 | პიტერჰედი-აირი | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| 18:00 | 90 | რეითი-სტრანრაერი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 91 | ალბიონი-არბროთი | 3.90 | 3.50 | 1.75 | 1.84 | 1.20 | 1.16 |
| 18:00 | 92 | დამბარტონი-ელგინი | 1.80 | 3.40 | 3.70 | 1.17 | 1.21 | 1.77 |
| 18:00 | 93 | ისტ ფაიფი-მონტროუზი | 1.46 | 3.80 | 6.00 | 1.05 | 1.17 | 2.32 |
| 18:00 | 94 | ისტ სტირლინგი-ბერიკი | 9.00 | 4.80 | 1.25 | 3.13 | 1.09 | 1.00 |
| 18:00 | 95 | ქუინზ პარკი-სტენჰაუსმუირი | 1.55 | 3.60 | 5.30 | 1.08 | 1.19 | 2.14 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 96 | ბაიერნი-შალკე | 1.90 | 3.30 | 3.85 | 1.20 | 1.27 | 1.77 |
| 17:30 | 99 | კოტბუსი-ვერდერი | 4.20 | 3.40 | 1.80 | 1.87 | 1.25 | 1.17 |
| 17:30 | 100 | კოტბუსი-ვერდერი 1:0 | 1.90 | 3.60 | 3.00 | | | |
| 17:30 | 102 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 17:30 | 103 | მიონხენგლადბახი-აინტრახტი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 17:30 | 104 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 17:30 | 105 | შტუტგარტი-ალემანია | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 17:30 | 106 | შტუტგარტი-ალემანია 0:1 | 2.45 | 3.60 | 2.20 | | | |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 98 | ბოხუმი-ჰანოვერი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 101 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| 14234 | ნანტი-სედანი | 1.70 | 2.10 |
| 14235 | ნიცა-მონაკო | 1.80 | 1.90 |
| 14236 | ტულუზა-სტ.ეტიენი | 1.70 | 2.10 |
| 14237 | ტრუა-სოშო | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ლივერპული-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15002 | ბოლტონი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15003 | ჩარლტონი-უიგანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | ფულემი-პორტსმუთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | ნიუკასლი-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | უოტფორდი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | ტოტენჰემი-რედინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ასტონ ვილა-ევერტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | კილმარნოკი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | მოზერუელი-დანფერმლაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | რეინჯერსი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | ჰიბერნიანი-ჰარტსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | ბაიერნი-შალკე | 3.00 | 2,80 | 2.00 |
| 15098 | ბოხუმი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | კოტბუსი -ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | მაინცი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | მიონხენგლადბახი-აინტრახტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ნიურნბერგი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | შტუტგარტი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | ატალანტა-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | კალიარი-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15161 | კიევო-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15162 | ემპოლი-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15163 | ინტერი-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | ლივორნო-კატანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15166 | რეჯინა-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | რომა-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ტორინო-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | უდინეზე-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15201 | ატლეტიკო-მალიორკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15202 | ბარსელონა-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | ბეტისი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15205 | სელტა-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15207 | ხეტაფე-სარაგოსა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15208 | ტარაგონა-უელვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15209 | ოსასუნა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15211 | რასინგი-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15212 | ხოსიედადი-ლევანტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15213 | ვალენსია-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15227 | ლე მანი-ოსერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15228 | ლანსი-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15229 | ლილი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15231 | ლორიანი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15234 | ნანტი-სედანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15235 | ნიცა-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15236 | ტულუზი-სტ.ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15237 | ტრუა-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ლივერპული-არსენალი | 1.47 | 2.40 |
| 16002 | ბოლტონი-შეფილდი | 1.15 | 4.00 |
| 16003 | ჩარლტონი-უიგანი | 1.50 | 2.30 |
| 16004 | ფულემი-პორტსმუთი | 1.55 | 2.20 |
| 16005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.04 | 7.00 |
| 16007 | ნიუკასლი-სიტი | 1.35 | 2.70 |
| 16008 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.60 | 2.10 |
| 16009 | უოტფორდი-ჩელსი | 6.50 | 1.05 |
| 16011 | ტოტენჰემი-რედინგი | 1.22 | 3.30 |
| 16012 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.70 | 1.90 |
| 16073 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 4.20 | 1.15 |
| 16075 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.50 | 2.30 |
| 16076 | კილმარნოკი-აბერდინი | 1.90 | 1.70 |
| 16077 | მოზერუელი-დანფერმლაინი | 1.45 | 2.45 |
| 16078 | რეინჯერსი-ინვერნესი | 1.05 | 6.80 |
| 16080 | ჰიბერნიანი-ჰარტსი | 1.55 | 2.10 |
| 16096 | ბაიერნი-შალკე | 1.35 | 2.70 |
| 16098 | ბოხუმი-ჰანოვერი | 1.75 | 1.85 |
| 16099 | კოტბუსი -ვერდერი | 3.00 | 1.27 |
| 16101 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.27 | 3.00 |
| 16102 | მაინცი-ლევერკუზენი | 1.75 | 1.85 |
| 16103 | მიონხენგლადბახი-აინტრახტი | 1.42 | 2.50 |
| 16104 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.48 | 2.35 |
| 16105 | შტუტგარტი-ალემანია | 1.15 | 4.00 |
| 16159 | ატალანტა-ფიორენტინა | 2.10 | 1.60 |
| 16160 | კალიარი-მესინა | 1.30 | 3.00 |
| 16161 | კიევო-სამპდორია | 1.60 | 2.10 |
| 16162 | ემპოლი-ასკოლი | 1.13 | 4.70 |
| 16165 | ლივორნო-კატანია | 1.35 | 2.75 |
| 16166 | რეჯინა-სიენა | 1.30 | 3.00 |
| 16167 | რომა-მილანი | 1.60 | 2.10 |
| 16168 | ტორინო-პალერმო | 1.70 | 1.90 |
| 16170 | უდინეზე-ლაციო | 1.85 | 1.75 |
| 16201 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.15 | 4.00 |
| 16202 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.05 | 6.70 |
| 16204 | ბეტისი-ვილიარეალი | 1.55 | 2.10 |
| 16205 | სელტა-რეალი | 3.00 | 1.27 |
| 16207 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.60 | 2.00 |
| 16208 | ტარაგონა-უელვა | 1.80 | 1.80 |
| 16209 | ოსასუნა-სევილია | 2.50 | 1.40 |
| 16211 | რასინგი-ბილბაო | 1.35 | 2.70 |
| 16212 | ხოსიედადი-ლევანტე | 1.60 | 2.00 |
| 16213 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.13 | 4.60 |
| 16227 | ლე მანი-ოსერი | 1.55 | 2.20 |
| 16228 | ლანსი-პსჟ | 1.35 | 2.75 |
| 16229 | ლილი-ვალენსიენი | 1.15 | 4.10 |
| 16231 | ლორიანი-მარსელი | 1.90 | 1.70 |
| 16234 | ნანტი-სედანი | 1.28 | 3.00 |
| 16235 | ნიცა-მონაკო | 1.65 | 1.95 |
| 16236 | ტულუზი-სტ.ეტიენი | 1.45 | 2.35 |
| 16237 | ტრუა-სოშო | 1.60 | 2.00 |

## გოლი: ნაკლები-თუ-მეტი-2 (0:0 ითვლება ნაკლებად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ლივერპული-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17002 | ბოლტონი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ჩარლტონი-უიგანი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | ფულემი-პორტსმუთი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | ნიუკასლი-სიტი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17009 | უოტფორდი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | ტოტენჰემი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | კილმარნოკი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | მოზერუელი-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | რეინჯერსი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ჰიბერნიანი-ჰარტსი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | ბაიერნი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ბოხუმი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | კოტბუსი -ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | მაინცი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | მიონხენგლადბახი-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.85 | 1.95 |
| 17105 | შტუტგარტი-ალემანია | 1.85 | 1.95 |
| 17159 | ატალანტა-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17160 | კალიარი-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17161 | კიევო-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17162 | ემპოლი-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17163 | ინტერი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ლივორნო-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17166 | რეჯინა-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17167 | რომა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ტორინო-პალერმო | 1.85 | 1.95 |
| 17170 | უდინეზე-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17201 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17202 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17204 | ბეტისი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17205 | სელტა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17207 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17208 | ტარაგონა-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17209 | ოსასუნა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17211 | რასინგი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ხოსიედადი-ლევანტე | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17227 | ლე მანი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17228 | ლანსი-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17229 | ლილი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17231 | ლორიანი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17234 | ნანტი-სედანი | 1.85 | 1.95 |
| 17235 | ნიცა-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17236 | ტულუზი-სტ.ეტიენი | 1.85 | 1.95 |
| 17237 | ტრუა-სოშო | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

კრივი

# გამარჯვების გზა ნერვებზეც გადის

**29 მარტს** ვერის ბაღის კრივის დარბაზში პროფესიონალ მოკრივეთა შორის ოთხი ორთაბრძოლები გაიმართა — სამი სარეიტინგო და ერთიც საქართველოს ჩემპიონისთვის. დარბაზში შეკრებილმა ქომაგმა უკომპრომისო, დაძაბული ჩხუბების გარდა ფსიქოლოგიური ბრძოლაც იხილა. მოკრივეები მიზნის მისაღწევად არაფერს იშურებდნენ, რაც რამდენჯერმე არასპორტულ საქციელშიც გადაიზარდა. ბუნებრივია, ასეთი რამ მიუღებელია.

დღის პირველი ორთაბრძოლა ბორის მდინარაძესა (ვარიანი) და ნოდარ ცხოვრებაძეს (დედოფლისწყარო) შორის შედგა. მდინარაძემ ერთი კვირის წინაც იჩხუბა და ყველას დაანახვა, რომ წონის ფავორიტია. მისი გამარჯვება არც ამჯერად გამხდარა საეჭვო. ვარიანელმა ოთხივე რაუნდი მაღალ დონეზე ჩაატარა და დამსახურებულად, ქულებით იმარჯვა.

შემდეგ რინგზე ისევ 62 კგ-ის სპორტსმენები ავიდნენ. თბილისელი უშანგი რურუა ვარიანელ დიმიტრი გულიაშვილს დაუპირისპირდა და დაძაბულ ჯახში დაჯაბნა.

66 კგ-ში უთანასწორო ბრძოლა შედგა. თავიდანვე ფავორიტად შერაცხულმა კობა ქარქაშაძემ (ფოთი) დავით ქადაგიძეს მოუგო. სამი რაუნდის განმავლობაში ფოთელს უპირატესობა საგრძნობი იყო, რამაც ბოლო რაუნდში კახელი სპორტსმენის მწვრთნელს დანებების გადაწყვეტილება მიაღებინა — მწვრთნელმა რინგზე პირსახოცი შეაგდო. ზღვისპირელს ტექნიკური ნოკაუტი ჩაუთვალეს.

საქართველოს ჩემპიონისთვის ბრძოლა 72 კგ-ში გაიმართა. ლევან შონია(სენაკი) ვარიანელ შალვა ჯომარდაშვილს შეერკინა. ამ უკანასკნელმა 23 სარეიტინგო დაპირისპირებიდან ყველა მოიგო და ფავორიტადაც დამსახურებულად ითვლებოდა.

საწყისი ორი რაუნდის სიფრთხილის შემდეგ მეტოქეები გაიხსნენ და ჩხუბიც გახურდა. მალე უფრო ძლიერმა ჯომარდაშვილმა იგდო ხელთ ინიციატივა და ქულების გროვებას შეუდგა. მომდევნო შვიდი რაუნდი ჯომარდაშვილმა მეტოქე უმოწყალოდ ცემა. დარბაზში შეკრებილი ქომაგი გაოგნებული იყო შონიას გამძლეობით. ის კი არა, შონია ვარიანელი სპორტსმენის მწყობრიდან გამოყვანასაც ცდილობდა, რაც ორჯერ მოახერხა კიდეც. ჯომარდაშვილმა ერთხელ წიხლი მოარტყა მეტოქეს, მეორედ კი შონიას ერთ-ერთ ქომაგს მუშტი უთავაზა. მორკინალთა გაშველება მწვრთნელ-დელეგატებმა ერთობლივად შეძლეს. ეს ბოლო რაუნდში მოხდა. თითქოს ყველაფერი დამთავრებული ჩანდა, რომ სენაკელმა ძალები მოიკრიბა და მედგრად შეუტია, მაგრამ ვარიანელ მოკრივეს მთელი ათი რაუნდის განმავლობაში ქულების საკმაო რაოდენობა ჰქონდა დაგროვილი და გამარჯვებაც მან ირგუნა.

**ლევან მაისურაძე**



[illegible] ფოტო

# შოშიაშვილმა მედლები რვეულში ჩამოწერა

**ბაქოში** მოკრივეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი „სილქ როუდის დიდი პრიზი“ გაჩაღებული. საქართველოს ნაკრები მასზე უძლიერესი შემადგენლობით გამოდის და საკმაოდ წარმატებულადაც. მთავარმა მწვრთნელმა ავთანდილ შოშიაშვილმა აზერბაიჯანში საქართველოს ჩემპიონები იახლა. 75 და 81 კილოგრამ წონით კატეგორიებში კი შანსი ვერცხლის პრიზიორებსაც მისცა. ამ წონებში ორგანიზატორებმა ქართველები პირველსავე წრეში ერთმანეთს დაუპირისპირეს და ორივე შემთხვევაში ვერცხლოსნებმა იმარჯვეს — გიორგი ნაკანმა (75 კგ) რევაზ ქარელიშვილს მოუგო, ხოლო დავით წიკლაურმა (81 კგ) თორნიკე ივულაშვილს.

მეოთხედფინალს კიდევ ექვსმა ჩვენებურმა — ზვიად ხადურმა (48 კგ), კობა ფხაკაძემ (57 კგ), ვასილ ყაზიშვილმა (60 კგ), ლევან ლვამიჩავამ (64 კგ), კახა ჟვანიამ (69 კგ) და ბექა ლობჟანიძემ (+91 კგ) უწია.

წინასწარი ცნობით, საქართველოს ნაკრები ორი კაცით მხოლოდ 75 და 81 კილოგრამებში უნდა გამოსულიყო, მაგრამ ისე მოხდა, 54-კილოგრამიანმა ნიკოლოზ იზორიამ 57-ში აიწია. იგი საწყის ეტაპზევე დამარცხდა, ისევე როგორც მერაბ თურქაძე (51 კგ) და იაგო კილაძე (91 კგ).

წუხელ კი ნაკრები გუნდების უფროსმა თამაზ ქართველიშვილმა გვაცნობა, მეოთხედფინალები უკვე გაიმართა, ყველა ქართველმა იმარჯვა და მედალგანაღდებული ბიჭები საჩემპიონო ბრძოლას აგრძელებენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**




## საქართველოს ჩემპიონატი

# რუსთავში ავიას გადაუფრინეს

30 მარტი

**აზოტი 97:82 ავიამშენი**

*22:22 25:21 26:16 24:23*

**აზოტი:** გამყრელიძე (23), ტულუში (13), ბოისა (9), ბეჟანიშვილი (16), უგრეხელიძე (15); მარკოიშვილი (10), ტუჯანი (4), გოგობერიშვილი (4), დიდია (2)

**ავიამშენი:** დ.ბერიშვილი (3), ხოშტარია (7), კეიდია (6), ლოსაბერიძე, ბაბიაშვილი (22); ი. ბერიშვილი (20), ნინიაშვილი (12), ნიკოლაძე (8), კვიმსაძე, როდუმბა

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე*

*კომისარი: მურმან ქურიძე*

**ირაკლი პერტაია** *რუსთავიდან*

**რუსთავის** „აზოტმა" ერთხელაც ცხადყო, რომ ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატია და თუ სასწაული არ მოხდა, საწადელსაც აიხდენს. ქვემოქართლელები დღედღეზე სერბ უკანახაზელს ელიან, თუმც ისედაც რომ არაფერი უჭირთ, გუშინ მთავარი კონკურენტის იოლად ძლევითაც დაამტკიცეს.

მიმდინარე სეზონში „აზოტი" ორჯერ დამარცხდა და ორჯერვე „ავიამშენთან". ამ წაგებების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს რუსთაველებს ავიამშენდრომი შეეყარათო. ქვემოქართლელებმა ხასიათი აქამდე კიდევ ერთი ამბიციური გუნდის, თსუ-ს ძლევით გამოიკეთეს და ახლა უშუალოდ „ავიამშენი" გამოიჭირეს და რევანშით პირი ჩაიტკბარუნეს.

რუსთაველებმა კი იმარჯვეს, მაგრამ არც მთლად ისე, რომ „ავიამშენი" პირწმინდად დაეჩაგრათ. ლევან მოსეშვილის გუნდმა ღირსეულად იბრძოლა, მაგრამ თავისი ბოლომდე რომ ვერ გაიტანა, ამის ერთ-ერთ მიზეზად, შეიძლება, ტრავმიანობა ჩაითვალოს.

„ავიამშენმა" პირველ მეოთხედშივე დაკარგა დავით ბერიშვილი და ლაშა ლოსაბერიძე, რომლებიც ის-ის იყო, თამაშის ეშხში შედიოდნენ, როცა დაშავდნენ და მოედანზე აღარ გამოჩენილან. მიუხედავად ამისა, მოსეშვილის გუნდი საწყის მეოთხედში ტოლ-სწორად ეომა რუსთაველებს და თორნიკე ნინიაშვილს მეტი კონცენტრაცია რომ გამოეჩინა, თბილისელები პირველ შესვენებაზე მოგებულები გავიდოდნენ. პირველი მეოთხედის დასრულების მაუწყებელი სირენა და ნინიაშვილზე მასპინძლების დაჯარიმება ერთად იყო, თუმც „ავიამშენის" თავდამსხმელმა ორივე სროლა ააცილა და ათწუთეული 22:22 დასრულდა.

ამ თამაშში მთავარი ბრძოლაც ეს იყო, რადგან მეორე მეოთხედიდან ვერა, მაგრამ მესამედან რუსთაველებმა რომ გაილაღეს, „ავიატორები" სათოფეზე აღარ გაიკარეს. ლაშა გამყრელიძე, კოტე ტულუში, ვლადიმერ ბეჟანიშვილი დიდი ოსტატობით ითვლიდნენ ქულებს და თბილისელების ყოველ გაბრძოლებას ზუსტი სროლებით ანეიტრალებდნენ.

სამარქაფოებმა „აზოტს" თავიდან არ გაუმართლეს და თანაბარი ბრძოლაც ამიტომ გაჩაღდა, თორემ გიორგი მარკოიშვილს, რევაზ დიდიასა და დანარჩენ შემცვლელებს მეორე ტაიმის დარად პირველშიც რომ ეთამაშათ, რუსთაველებს პრობლემა საერთოდ არ შეექმნებოდათ.

პირველი ტაიმის შემდეგ „აზოტი" მხოლოდ 4 ქულას იგებდა, მაგრამ მეორედან მასპინძლებმა ფარიც დაიპყრეს და რაკი უკანა ხაზში ისედაც ნავარდობდნენ, ხელჩასაჭიდ უპირატესობასაც მიაღწიეს — 70:49 მესამე მეოთხედის დასრულებამდე 2 წუთით ადრე.

„ავიამშენს" თამაშის გადასარჩენად ერთი მეოთხედიღა ჰქონდა, მაგრამ დაწყებისთანავე გამოჩნდა, რომ თბილისელები ამის გამკეთებლები არ იყვნენ. „ავიატორთა" ბანაკში თამაშის მსვლელობისას და მერეც მსაჯთა უსამართლობაზე ჩიოდნენ, თუმც ლია პროტესტი არ გამოუთქვამთ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სტუმრებისგან განსხვავებით, მასპინძლებს არავინ დაჩაგრავს.

ამ გამარჯვებით „აზოტი" სამი ქულით გაექცა მდევარ „ავიამშენს" და რეგულარული ჩემპიონობაც ფაქტობრივად გაინაღდა.

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

29 მარტი

**ჩიკაგო 83:81 დეტროიტი**

**ჩიკაგო:** გორდონი (25), დენგი (16), ჰაინრიხი (15), ტომასი (13 ქულა, 10 მოხსნა), ბ. ვოლესი (6 ქულა, 19 მოხსნა)

**დეტროიტი:** პრინსი (26), რ. ვოლესი (19), ბილაფსი (12), მაკდაისი (8 ქულა, 10 მოხსნა)

**პორტლენდი 92:96 მემფისი**

**პორტლენდი:** რენდოლფი (43 ქულა, 17 მოხსნა), ოუთლოუ (13), როი (13)

**მემფისი:** კონი (20), უორიკი (18 ქულა, 10 მოხსნა), გასოლი (17 ქულა, 8 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 124:119 ფინიქსი**

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (36 ქულა, 12 მოხსნა), ჯექსონი (29 ქულა, 6 მოხსნა, 7 პასი), დევისი (21 ქულა, 8 მოხსნა, 12 პასი)

**ფინიქსი:** ბარბოსა (27), დიაო (18), სტაუდმაიერი (17 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (14 ქულა, 9 პასი)



# გუშინ შვიდნი ბორჯომელნი საევროპოდ შეიკრიბნენ



**მეორე** კვირაა, ქართველი ძიუდოისტები ბორჯომში, სასტუმრო „ოლიმპში" ევროპის ჩემპიონატისწინა დასკვნით შეკრებას გადიან. ნაკრების შემადგენლობა მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა ჯერ კიდევ შეკრების დაწყებამდე გამოაცხადა. 6-8 აპრილს ბელგრადულ ტატამზე ნესტორ ხერგიანი (60 კგ), ზაზა კედელაშვილი (66 კგ) დავით ქევხიშვილი (73 კგ), გიორგი ბაინდურაშვილი (81 კგ), ირაკლი ცირეკიძე (90 კგ), ლომერ ჟორჟოლიანი (100 კგ) და ლაშა გუჯეჯიანი (+120 კგ) გავლენ. ბორჯომული ვარჯიშები 4 აპრილამდე გასტანს, მეორე დღეს კი ნაკრები სერბეთში გაფრინდება.

გუშინ ჩემპიონატისწინა ბოლო სპარინგშეხვედრები გაიმართა. ხაბარელის რჩეული შვიდეული დილა-საღამოს თავიანთი წონის სხვა კანდიდატებს დაეჭიდა. საინტერესო ბრძოლების საცქერად ბორჯომს ჟურნალისტების გარდა ძიუდოს სამზარეულოში ჩახედული ხალხიც საკმაოდ ესტუმრა. პირველმა ნომრებმა თავი არ შეირცხვინეს, თუმცა აქვე ვთქვათ, რომ თავადაც და მეტოქეებიც შედარებით ფრთხილად ჭიდაობდნენ. მიზეზი მარტივია, დიდ ტურნირამდე ხომ სულ რაღაც დღეები რჩება და ტრავმებს ყველა ერიდება.

დარბაზში შესულმა პირველ რიგში ქევხიშვილს დავუწყე ძებნა. ჯერაც ბოლომდე ტრავმამოუშუშებელ სამგზის ევროპრიზიორის ბელგრადში წასვლაზე პასუხი ბოლო შეკრებას უნდა გაეცა. „ქევხა" სრული დატვირთვით ვარჯიშობდა. მხოლოდ დროდადრო თუ განმარტოვდებოდა და ნაოპერაციევ მუხლს ცოტა ხნით დაასვენებდა. მაგრამ სპარინგები ისე ლამაზად ჩაიჭიდავა, მომენტალურად დაამტკიცა, რომ ნახევარწლიანი იძულებითი უქმობა დიდ პრობლემად არ უნდა ექცეს.

„მთავარია, მუხლმა გამიშვას და დანარჩენი უკვე ჩემზე იქნება დამოკიდებული — თქვა ნავარჯიშევს — მუხლი ვარჯიშის დაწყებისას ისევ მაწუხებს, მაგრამ რომ გავხურდები, ტკივილს ველარ ვგრძნობ. სამწუხაროდ, სითხე მაინც დგება, მაგრამ ბელგრადში აუცილებლად ვიჭიდავებ".

მეორე რესპოდენტად ნაკრების ყველაზე გამოცდილი წევრი ნესტორ ხერგიანი ვისურვეთ, მაგრამ კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვა — ამჯერად მიჯობს ჩუმად ვიყო და თუ ევროპამოვლილის სალაპარაკო მექნა, მერე ჩემი თავი გენაცვალოთო.

გიორგი ბაინდურაშვილმა და ლომერ ჟორჟოლიანმა შვიდეულში მოხვედრა შიდა კონკურენციასა და საერთაშორისო ტურნირებზე კარგი ჭიდაობით გაინაღდეს, მაგრამ ასეთ სერიოზულ შეჯიბრზე აქამდე არასოდეს უჭიდავიათ და პროგნოზების გაკეთებისგანაც სხვებზე მეტად შეიკავეს თავი. გამოუცდელობის გადასაწონად ორივემ საბრძოლო ჟინი და მონდომება ახსენა.

ირაკლი ცირეკიძეს თავად ნაკრების წევრებიც კი მედლის მოპოვების ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად ასახელებენ. ბოლო წლებში მან 90 კილოგრამის ლამის ყველა უძლიერესი ძიუდოისტის დამარცხება მოასწრო, ტურნირებზეც იჩემპიონა, მაგრამ წინა ორ ევროპირველობაზე კვარცხლბეკს მიღმა დარჩა. მესამე და სამართალიო, გვითხრა ხუმრობით და იქვე დასევდიანდა: ამ ევროპის ჩემპიონატზე მედლისთვის განსაკუთრებული შემართებით ვიბრძოლებ. მინდა, წარმატებას მივაღწიო და იგი ჩემს პირად მწვრთნელს მივუძღვნა. ომარ მერაბიშვილი რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა".

მძიმეწონოსანმა ლაშა გუჯეჯიანმა სერბულ შვიდეულში მოხვედრა ბოლო შესარჩევ ტურნირზეღა შეძლო — პოლონეთის მსოფლიოს თასზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ოქროს გზა კი ნახევარფინალში რუსმა ალექსანდრ მიხაილინმა გადაუღობა. ლაშა ევროპაზეც სწორედ მას მიიჩნევს უმთავრეს კონკურენტად.

„არის შანსი, რუსებმა მძიმე წონა ტამერლან ტმენოვს მიაღონ. ეს ბევრს არაფერს შეცვლის. ტმენოვიც ძალიან ძლიერია და მთავარი კონკურენტი ის იქნება. იმედია, სხვადასხვა ბადეში მოვხვდებით და ერთმანეთს ფინალამდე არ შევხვდებით" — გვითხრა გუჯეჯიანმა.

მოქმედ ევროპის ჩემპიონ ზაზა კედელაშვილს ხუმრობით ვკითხე, შარშანდელი ევროპის წინ უკეთეს ფორმაში იყავი თუ ახლა-მეთქი. ხუმრობითვე მომიგო, ზუსტად ისე ვარო. 2006 წლის საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი შარშანდელ წარმატებაზე უკვე აღარც ფიქრობს:

„ის ევროპირველობა ისტორიაა. მე ყველაფერს თავიდან ვიწყებ. ვეცდები, ისე ვიჭიდავო, გულშემატკივრებს რომ გავახარებ. მართალია, პოლონურ საერთაშორისო ტურნირზე უმედლოდ დარჩი, მაგრამ ამ წარუმატებლობას თავისი მიზეზები ჰქონდა; სერბეთში უფრო მიზანმიმართული ვიქნები. მთავარ კონკურენტად კი ისევ ფრანგ ბენჟამენ დარბალეს მივიჩნევ."

ბოლოს წინასაევროპო შეკრება და შეგირდების მზადყოფნა ნაკრების თავკაცს შევაფასებინეთ.

შოთა ხაბარელი: „ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა სადღეისოდ ნამდვილად ოპტიმალურია. მოსამზადებელი ეტაპები მშვენივრად გავიარეთ. ტურნირებითაც კმაყოფილი ვარ. ახლა მთავარია, ბიჭებმა თავიანთი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენა შეძლონ. იმედია, ასეც იქნება".

გუშინდელ ვარჯიშს საქართველოს ნაკრების ოთხი კანდიდატი აკლდა. გრიგოლ მამრიკიშვილმა და ზვიად ხანჯალიაშვილმა სპარინგშეხვედრები ტრავმების გამო გამოტოვეს. საბა გავაშელიშვილს შეკრება გაციებამ ვადაზე ადრე დაასრულებინა, ხოლო მინდია ხომიზური მწვრთნელებს პირადი პრობლემის გამო დაეთხოვა.

ნაკრებთან ერთადაა ზურაბ ზვიადაური, რომელმაც წინა შეკრება გამოტოვა და ის პერიოდი ახმეტაში, მშობლიურ დარბაზში ვარჯიშში გაატარა. ბორჯომული შეკრების დასრულების შემდეგ თბილისში დაბრუნებული ოლიმპიური ჩემპიონი ისევ ახმეტაში აპირებს წასვლას. ოღონდ სინანულით აღნიშნა, მრავალგზის დაპირებულმა ტატამებმა ჩვენამდე ვერა და ვერ ჩამოაღწია და უკვე იმედიც კი გადამეწურაო. არადა, ძიუდოს ბუმი და ტატამების დარიგება სწორედ ზვიადაურის გაჩემპიონებას მოჰყვა.

**ოთარ გალღაკელიძე**

გარდაიცვალა ქართული სპორტის აჩაგდარი კაცი,
ქართული ძიუდოს არაერთი დიდი ოსტატის
აღმზრდელი, მართლაც დამსახურებული მწვრთნელი
**ომარ მერაბიშვილი**
სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს




# ქართველები ქართველს რუსულად დახვდებიან

**7 აპრილს** საქართველოს ნაკრები თბილისში თავის მესამე საერთაშორისო მატჩს გამართავს ჩეხეთის ნაკრებთან, რომელსაც უკვე მეორე მატჩია, საქართველოს რაგბის კავშირის ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი ლევან მგელაძე წვრთნის. მგელაძე ქართულ რაგბიში ჭიპმოჭრილი კაცია, ტიტულებიც ბლომად მოუგია, მაგრამ ძალიან საეჭვოა, ნახევრად პროფესიონალური ნაკრებით ქართველებს რამე დააკლოს.

ჩვენი „ლელოების" სამწვრთნელო შტაბმა ის 22-კაციანი რაზმი გააცხადა, ჩეხებს რომ დაახვედრებს. აქედანვე ვთქვათ, რომ არც ამჯერად მოხერხდა ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება, თუმცა ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, იმავე მოთამაშეებს ვიხილავთ, რომლებიც რუსეთთან იყვნენ. ამიტომაც, თუ რუსების დაჩაგვრა მოხერხდა, არც ჩეხების გემრიელი დამარცხება უნდა იყოს პრობლემა.

გამოსარჩევი კი ის არის, რომ მცირე პაუზის შემდეგ ჩვენებს მუხლმაგარი და ჯანიანი ორი მორკინალი დაუბრუნდათ — უნივერსალები მამუკა მაგრაქველიძე და ზვიად მაისურაძე ჩეხებთან ირაგბებენ.

## საქართველო ჩეხეთთან

**შერკინება:** ავთანდილ კოპალიანი, გიორგი ჟღენტი, დავით დადუნაშვილი, მამუკა მაგრაქველიძე, დავით გასვიანი, ზურაბ მჭედლიშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, შალვა სუთიაშვილი, ილია მაისურაძე, ზვიად მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე, ბესარიონ უდესიანი

**უკანა ხაზი:** ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, პავლე ჯიმშელიძე, ირაკლი გიორგაძე, დავით კაჭარავა, მალხაზ ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი ჩკინინი, ოთარ ელოშვილი

# ქართველები ევროელიტას ირლანდიით იწყებენ

**ხვალ** საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები დუბლინში ევროპის ჩემპიონატს დაიწყებს. უმცროსი „ლელოებისთვის" ეს მეოთხე ევრორაგბობა იქნება. აქამდე ჩვენმა 18-წლამდელებმა 2004 წელს მე-5 ადგილი დაიკავეს, შარშანწინ იგივე შედეგი გაიმეორეს, შარშან კი მე-6 ადგილზე გავიდნენ.

ევროპის ჩემპიონატზე 30 ნაკრები რაგბობს, მაგრამ ელიტარულ ჯგუფში მხოლოდ რვა გუნდია და ამათში ვლინდება კონტინენტის ჩემპიონი. ქართველები ყოველთვის ელიტარულ ჯგუფში იყვნენ და ახლაც ასეა ტურნირის ფორმატით ევროპის სუფევუნდობისთვის ბრძოლა პირდაპირ მეოთხედფინალიდან იწყება. კენჭისყრით ჩვენები ირლანდიას ეთამაშებიან. ტურნირზე ყველა ადგილი თამაშდება, ელიტარული ჯგუფიდან კი ბოლოადგილოსანი ვარდება.

18-წლამდელი „ლელოები" ტურნირზე მე-5 ნომრად არიან განთესილები. მერვედფინალების განრიგი კი ასეთია:

**1 აპრილი**

**ირლანდია — საქართველო**
**ინგლისი — პორტუგალია**
**საფრანგეთი — რუმინეთი**
**იტალია — რუსეთი**

თუ მოხდა სენსაცია და ქართველებმა ირლანდიელებს აჯობეს, რისი შანსიც ერთი პროცენტია, ნახევარფინალში იტალია — რუსეთს შორის მოგებულს შეხვდებიან. რეალურად კი ჩვენების ირლანდიასთან წაგება უფრო რეალურია. იტალიაც ალბათ იოლად მოუგებს რუსეთს. ამ შემთხვევაში მე-5 ადგილისთვის ბრძოლაში ქართველებს რუსების დამარცხება მოუწევთ.

**ბაჩო სვანიძე**



## მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში
### მელბურნი. ავსტრალია. 17 მარტი - 1 აპრილი

# ბალკანური ომი
## ხორვატებმა სერბები დაამცირეს




მსოფლიოს ჩემპიონატის მეექვსე დღეს ოდნავ დამშვიდნენ ავსტრალიელები. ოზებს აქამდე არც ძალიან სასურველ კალაპოტში მისდიოდათ საქმეები, მედლებს გეგმაზომიერად ვერ იხვეჭდნენ და კანტიკუნტი გამარჯვებებით გვარიანად ჩამორჩნენ მარადიულ კონკურენტ ამერიკელებს. ტურნირის დამთავრებამდე მხოლოდ ორი დღე რჩება და მაინც ველარ დაეწევიან, მაგრამ იმდენი ოქროს აღება კი უნდათ, რომ ცურვის გიგანტის შელახული რეპუტაცია აღიდგინონ.

ხუთშაბათს ავსტრალიელებმა ხუთ დისციპლინაში ოთხი მედალი მოიმხარმკლავეს — ორი ოქრო და ორიც ვერცხლი. ოქროები კვლავინდებურად ქალების კისერზეა.

ლეიზელ ჯონსი 200 მეტრ ბრასში მსოფლიოს რეკორდსაც ფლობს და მსოფლიოს ჩემპიონატებისასაც და რა გასაკვირია, ახლაც ყველა სადღაც უკან რომ მოიტოვა, თან უახლოეს მდევარს 4 წამზე (!) მეტით გაასწრო. მაგრამ თავისივე მსოფლიო რეკორდს ვერაფერი მოუხერხა და ახლა ნაჩვენები 2.21,84 შედეგით 1,30 წამით ჩამორჩა. ლიზ ლენტონმა კი 100 მეტრ თავისუფალში მსოფლიოსი ვერა, მსოფლიო პირველობების რეკორდი კი დაამყარა — 53,40 შედეგით ის სულ რაღაც წამის მეათედით ჩამორჩა გერმანელი ბრიტა შტეფენის რეკორდს. ისე, ეს ოქრო ლიზისთვის მესამე იყო მელბურნში, ანუ ავსტრალური ოქროების ნახევარი მისია.

ავსტრალიას ავსტრალიისა, მაგრამ, არც ამერიკელები ჩასულან აუზში საჭყუმპალაოდ — ხუთი ფინალიდან ორი მათ მოიგეს, თან ორივე მსოფლიო რეკორდებით. დიდი სენსაცია გამოაცხო 200 მეტრ გულაღმა ცურვაში 22 წლის ამერიკელმა რაიან ლოჩტემ. ამ დისტანციაში მეფობდა მეორე ამრიკელი აარონ პირსოლი, რომელმაც 2001, 03 და 05 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე იმარჯვა და ექვს წელზე მეტხანს დაუმარცხებელიც დაცურავდა. მისივე იყო რეკორდი — წუთი და 54,44 წამი. პირსოლმა ახლაც ომახიანად დაიწყო, სამ გზობაზე მორჭმით ლიდერობდა, მაგრამ მეოთხე და უკანასკნელ გზაზე მას ყველასდა მოულოდნელად გადაასწრო ლოჩტემ, რომელმაც საბოლოოდ პირსოლს ოქროსთან ერთად რეკორდიც წაართვა და 1,54,32 შედეგით დაასრულა ცურვა.

საათნახევრის შემდეგ კი ლოჩტე ამერიკის ნაკრებს კიდევ ერთი ოქროს მოპოვებაში ეხმარებოდა. მან, მაიკლ ფელპსმა, კლიტ კელერმა და პიტერ ვანდერკაამ 4X200 მეტრი თავისუფალი 7,03,24 შედეგით გაცურეს, ავსტრალიელებს 6,81 (!) წამი მოუგეს და მათივე 2006 წლის მსოფლიო რეკორდს 1,42 წამი მოათალეს.

დღის მეხუთე საცურაო ოქრო იაპონიას შეხვდა. ყოჩაღმა ბრასმენმა კოსუკე კიტაჯიმამ ისარგებლა ამერიკელი ბრენდან ჰანსენის არყოფნით და 200 მეტრ ბრასში გაჩემპიონებით მელბურნში თავისი პირველი ოქრო მოიპოვა, რითაც სამგზის მსოფლიო ჩემპიონი შეიქნა.

ფინალამდე მიდგაფუნდნენ წყალბურთელები. კაცთა ნახევარფინალებში ორივეგან დიდი დაკა-დაკა იყო მოსალოდნელი, მაგრამ ბრძოლა მხოლოდ ერთგან შედგა. უნგრეთმა და ესპანეთმა ერთმანეთს ბლომად გოლები უტანეს, ნერვებიც დააწყვიტეს და 12:11 მოგებით ფინალში უნგრეთი გავიდა. მეორე წყვილში დანასისხლად გადაკიდებულმა ხორვატებმა და სერბებმა ბევრი უბღვირეს ერთმანეთს, მაგრამ თამაშით მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა — ხორვატებმა პირველი პერიოდი 3:1 მოიგეს, მეორეც ამავე ანგარიშით ჩაადგაფუნეს და მესამეს შემდეგლა, 8:3 ანგარიშზე ამოასუნთქეს საცოდავ სერბებს.

**კოტე ყორშია**



ხორვატი იგორ ჰუნიჩისა (მარცხნივ) და სერბი ალექსანდრ საპიჩის საჰაერო დუელი

### ცურვა

**კაცები. 4X200 მ. თავისუფალი**

1. აშშ (მაიკლ ფელპსი, რაიან ლოჩტე, კლიტ კელერი, პეტერ ვანდერკააი) 7.03,24; 2. ავსტრალია 7.10,05; 3. კანადა 7.10,70

**კაცები. 200 მ. გულაღმა**

1. რაიან ლოჩტე (აშშ) 1.54,32; 2. აარონ პირსონი (აშშ) 1.54,80; 3. მარკუს როგანი (ავსტრია) 1.56,02

**კაცები. 200 მ. ბრასი**

1. კოსუკე კიტაჯიმა (იაპონია) 2.09,80; 2. ბრენტონ რიკარდი (ავსტრალია) 2.10,99; 3. ლორის ფაჩი (იტალია) 2.11,03

**ქალები. 200 მ. ბრასი**

1. ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია) 2.21,84; 2. კირსტი ბელფური (ბრიტანეთი) 2.25,94; 3. მეგან ჯენდრიკი (აშშ) 2.25,94

**ქალები. 100 მ. თავისუფალი**

1. ლიზბეტ ლენტონი (ავსტრალია) 53.40; 2. მარლინ ვენდჰუისი (ჰოლანდია) 53.70; 3. ბრიტა შტეფენი (გერმანია) 53.74

### წყალბურთი

**კაცები. ნახევარფინალი**

ხორვატია 10:7 სერბეთი
უნგრეთი 12:11 ესპანეთი

**ფინალი. 1 აპრილი**

ხორვატია — უნგრეთი

**ქალები. ნახევარფინალი**

აშშ 10:9 უნგრეთი
ავსტრალია 12:9 რუსეთი

**ფინალი. 31 მარტი**

აშშ — ავსტრალია

## ჩოგბურთი

# ოქსანა კალაშნიკოვა გერარდსს ვერ მოერია



ისევე, როგორც წინა ეგვიპტურ ტურნირზე, 16 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ოქსანა კალაშნიკოვამ ვერც ამჯერად გადალახა ჰოლანდიელი მიქაელა გერარდსის ბარიერი.

განსხვავება ის იყო, რომ წინა კვირაში კალაშნიკოვა და რეიტინგში 525-ე ადგილზე მყოფი გერარდსი ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და ჰოლანდიელმა 6:3 6:1 მოიგო. ამ ჯერზე კი ქაიროს თიხაზე მიმდინარე 10-ათასიანი ტურნირის მეორე წრეში გადაიკვეთა მათი გზები და ოქსანამ მხოლოდ მეორე სეტში იძალა — 6:3 4:6 6:1 გერარდსის სასარგებლოდ.

## მასტერსის სერია. ქი ბისკეინი. აშშ. ჰარდი
### 22 მარტი-1 აპრილი. საპრიზო 6 900 000$

**კაცები**

**მეოთხედფინალი**

გილერმო კანასი (არგენტინა) — ტომი რობრედო (6, ესპანეთი) 7:6 6:1; ივან ლიუბიჩიჩი (7, ხორვატია) — ხუან იგნასიო ჩელა (23, არგენტინა) 6:3 7:5

**ქალები**

**ნახევარფინალი**

ჟუსტინ ენინი (2, ბელგია) — ანა ჩაკვეტაძე (9, რუსეთი) 6:2 6:3; სერენა უილიამსი (13, აშშ) — შაჰარ პირი (14, ისრაელი) 7:6 6:1

## ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

29 მარტი

**ატლანტა 3:2 ტორონტო**
*1:1 0:0 1:1 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 პოსა (4), 1:1 პოლი (18), 2:1 კოზლოვი (43), 2:2 გილი (47), 3:2 კოზლოვი (65)

**ბოსტონი 2:4 პიტსბურგი**
*2:3 0:0 0:1*
1:0 ბოჩენსკი (1), 1:1 კრისტენსენი (4), 1:2 არმსტრონგი (10), 2:2 კესელი (11), 2:3 კრისტენსენი (12), 2:4 მალკინი (52)

**კოლუმბუსი 2:5 ანაჰაიმი**
*0:0 1:1 1:4*
1:0 ჯონსონი (27), 1:1 პრონგერი (40), 2:1 ფიოდოროვი (42), 2:2 ბოშმენი (44), 2:3 გეცლაფი (48), 2:4 პრონგერი (55), 2:5 სელიანე (60)

**ლოს ანჯელესი 2:4 ვანკუვერი**
*1:1 0:2 1:1*
0:1 სმოლინსკი (9), 1:1 ბრაუნი (14), 1:2 დ. სედინი (27), 1:3 პაიეტი (34), 2:3 კოპიტარი (47), 2:4 დ. სედინი (60)

**ნეშვილი 1:2 დეტროიტი**
*1:1 0:1 0:0*
1:0 ლეგვანდი (10), 1:1 ფრენზენი (15), 1:2 დაციუკი (28)

**მინესოტა 2:4 კალგარი**
*1:3 0:0 1:1*
0:1 ლენგკოუ (2), 0:2 იგინლა (2), 1:2 ბერნსი (11), 1:3 იგინლა (20), 1:4 იგინლა (46), 2:4 პერიში (54)

**სენტ ლუისი 5:2 ედმონტონი**
*2:2 2:0 1:0*
1:0 ვაიტი (4), 2:0 სეინა (10), 2:1 პემსკი (16), 2:2 რუა (17), 3:2 სტემპნიაკი (31), 4:2 მაკლემენტი (37), 5:2 ჩაიანეკი (60)

**ფინიქსი 3:4 კოლორადო**
*0:2 0:2 3:0*
0:1 ჰეიდუკი (7), 0:2 მაკლინი (13), 0:3 ვოლსკი (26), 0:4 რიჩარდსონი (28), 1:4 რაინპრეხტი (45), 2:4 ადამსი (47), 3:4 ბოინტონი (60)

## ჭადრაკი

## ამბერის ტურნირი

მონტე კარლო. მონაკო. 17-29 მარტი

XI ტური

| | | |
|---|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5, 1:0 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5, 1:0 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0:1, 1:0 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5, 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0, 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) | 0,5:0,5, 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |

*პირველად მოცემულია დაფაზე დაუხედავი პარტიების შედეგები*



# კრამნიკი ამბერს მეექვსედ ეამბორა

ამბერის მე-16 გათამაშება ვლადიმირ კრამნიკის გამარჯვებით დასრულდა. რუსმა დიდოსტატმა 15,5 ქულა დააგროვა, მთავარ-კონკურენტებს ორი ქულით აჯობა და თასი მეექვსედ ჩაიხუტა.

აქამდე ტურნირი ყველაზე ბევრჯერ, ხუთ-ხუთჯერ, ვიშვანათან ანანდსა და კრამნიკს მოეგოთ, თუმც წელს ინდუსმა ძველებურად ვეღარ იჩუბინა და პირველობა რუსს დაუთმო.

მსოფლიოს ჩემპიონმა ქულათა უმეტესობა დაფაზედაუხედავ შეხვედრებში დააგროვა, 11 თამაშში 9 ქულა აიღო და მეტოქეებიც საკმაოდ ჩამოიტოვა. სწრაფ შეხვედრებში პირველობა არავის დაუთმო ანანდმა, თუმც „ბრმა" პარტიებში ვერ ივარგა და საბოლოოდ უკრაინელ ვასილ ივანჩუკთან ერთად მეორე ადგილს დასჯერდა.

ბოლო ტურში კრამნიკს გამარჯვებისთვის ნახევარი ქულაც ჰყოფნიდა და ვალეხოსთან შეხვედრისას თავი დიდად არ მოუკლავს.

დაფაზედაუხედავ მატჩში მეტოქეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს. ვალეხომ დებიუტში დაცვა გაამლერა, მეფე საიმედოდ გადამალა და ასპარეზზე მხედრები გამოიყვანა. კრამნიკმაც საბრძოლველად მხედრები გამოუშვა, კასტილიელს შეტევა ჩაუშალა და 23-ე სვლაზე ძვირფასი ნახევარი ქულა აართვა.

უფრო დიდხანს გასტანა სწრაფმა პარტიამ, თუმც გამარჯვებული არც აქ გამოვლინდა და 34-ე სვლაზე ზავით დასრულდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

**საბოლოო მდგომარეობა**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | ვლადიმირ კრამნიკი | 15,5 | 7. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 11,5 |
| 2. | ვიშვანათან ანანდი | 13,5 | 8. | პიოტრ ლეკო | 10,5 |
| 3. | ვასილ ივანჩუკი | 13,0 | 9. | მაგნუს კარლსენი | 10,5 |
| 4. | პიოტრ სვიდლერი | 12,0 | 10. | თეიმურ რაჯაბოვი | 9,0 |
| 5. | ლევონ არონიანი | 12,0 | 11. | ლუკ ვან ველი | 6,5 |
| 6. | ბორის გელფანდი | 11,5 | 12. | ფრანსისკო ვალეხო | 6,5 |

## ველორბოლა

# კონტადორი ესპანეთშიც უზერავს

ფლევანდელი „პარიზი-ნიცას" მომგებმა ესპანელმა ალბერტო კონტადორმა სერიოზული განაცხადი გააკეთა კიდევ ერთ ტრიუმფზე. ესპანეთში ხუთდღიანი „კასტილიისა და ლეონის ვუელტა" გრძელდება და ამერიკული „დისქოვერის" მრბოლმა მეოთხე ეტაპის მოგებით საერთო ჩათვლის ლიდერობა იგდო ხელთ.

მშვენიერ ფორმაში მყოფმა კონტადორმა ვალიადოლიდიდან ალტო დე ნავასერადას 154 კილომეტრიან, მთიან გზაზე თანამემამულე კოლდო გილთან ერთად შეძლო პელოტონისგან გაქცევა და მერე ფინიშზე „სონი დიუვალის" მრბოლსაც აჯობა.

შედეგად, საერთო ჩათვლაში სწორედ კონტადორი და გილი დაწინაურდნენ და პირველი მეორეს 36 წამს უგებს.

## მსოფლიოს ჩემპიონატი სატრეკო ველორბოლაში
### პალმა დე მალიორკა. ესპანეთი

**კაცები**

**ინდივიდუალური გამოდევნებით** 1. ბრედლი ვიგინსი (ბრიტანეთი); 2. რობერტ ბარტკო (გერმანია); 3. სერხი ესკობარი (ესპანეთი)

**ომნიუმი** 1. ალოიზ კანკოვსკი (ჩეხეთი); 2. ვალტერ პერესი (არგენტინა); 3. ჩარლზ ჰაფი (აშშ)

**გუნდური სპრინტი** 1. საფრანგეთი (ბორე, ბურჟენი, ტურნანი); 2. ბრიტანეთი (ედგარი, ჰოია, მაკლინი); 3. გერანია (ფერსტემანი, ლევი, ნიმკე)

**ქალები**

**გუნდური სპრინტი** 1. ბრიტანეთი (პენდლტონი, რიდი); 2. ჰოლანდია (ჰიიგენაარი, კანისი), 3. ავსტრალია (ბეილი, მაერსი).



ბრედლი ვიგინსი

## ხელბურთი

## საქართველოს მე-17 ჩემპიონატი კაცები. მესამე წრე

# იმედი შევარდენისკენ გაფრინდა

30 მარტი

**სსსსუ-მამული 22:29 ძარიშხალა**

სსსსუ-მამული: ხონელიძე, ადუაშვილი, შონია (გაიტანა 11 გოლი), გელაშვილი (6), მოციქულაშვილი (3), მამაცაშვილი (1), ბქატავაშვილი (1), კიზირია, დორეული, გველქიანი

ძარიშხალა: გიგა ტორონჯაძე, ქანთარია, მელქოშვილი (11), ოთარ ამირანაშვილი (5), ფერაძე (4), ირაკლი ტორონჯაძე (4), სხიერელი (2), ჯობავა (1), ლობჟანიძე (1), ჩიხლაძე (1), მუმლაძე, სეთურიძე, ალეკო ამირანაშვილი, მანძულაშვილი

*მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ქუეასელი*

*საქართველოს ხელბურთის ასოციაციის დელეგატი: ვახტანგ ბერიაშვილი*

**იმედი 28:31 სტუ-შევარდენი**

იმედი: გოჩნაროვი, ვახანია, მაისურაძე (8), ყველაშვილი (8), ქარდავა (7), ლომიძე (3), თეთრუაშვილი (1), ცოტაძე (1), ბერიაშვილი, კურძელიძე, საბანაშვილი, ბიდოდაშვილი

სტუ-შევარდენი: სამყურაშვილი, ტალახაძე (8), ბერძენიშვილი (7), მსხვილიძე (7), სიგუა (3), ყოფიანი (3), ირაკლი ჩიქოვანი (2), გიორგი ჩიქოვანი (1), გოგალაძე, საჯაია, ქობელაშვილი, კობახიძე, ნიკოლაიშვილი

*მსაჯები: ელენე არაბული, ნინო ელოშვილი*

*საქართველოს ხელბურთის ასოციაციის დელეგატი: თამაზ ჩხარტიშვილი*

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 9 | 0 | 1 | +110 | 18 |
| ხკ თბილისი | 8 | 0 | 1 | +100 | 16 |
| ქარიშხალა | 4 | 1 | 4 | -1 | 9 |
| იმედი | 2 | 1 | 7 | -70 | 5 |
| სსსსუ-მამული | 0 | 0 | 10 | -139 | 0 |

გუშინდელ ტურში უცვლელ ჩემპიონ „სტუ-შევარდენს" დაძაბული ბრძოლა გაუმართა ხელბურთის კლუბ „თბილისის" ფარმგუნდმა „იმედმა".

თამაში თავიდან თანაბრად კი წარიმართა, მაგრამ უკვე მეათე წუთისთვის ტექნიკოსებმა ოთხგოლიანი უპირატესობა მოიპოვეს - 7:3. გამორჩეულად აქტიურობდა მუხლის ოპერაციის შემდეგ მწყობრში დაბრუნებული 204-სანტიმეტრიანი ცაცია ინსაიდი რატი მსხვილიძე, იმ საწყის პერიოდში მისი ოთხი ტყორცნა მიზანს მოხვდა. თითქოს გამარჯვებულიც გაირკვა, თუმც იმედელებს იმედი არ დაუკარგავთ და ტაიმის ბოლოს ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს — 12:12, უმთავრესად ვერცხლისწყალივით მოძრავ ივანე ქარდავას ასევე ოთხი გოლის წყალობით.

შესვენების შემდეგ შევარდნებმა ერთ წუთში უპირატესობა სამ ბურთამდე გაზარდეს — 16:13 და ამის მერე ერთხელაც აღარ მისცეს მეტოქეს წამოწევის საშუალება.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge